პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გლ. წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

94 შაბათი, 29 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 29 აპრილი 1922 წ. № 94

პირველი მაისისათვის

1-ლი მაისი, შრომისა და მშრომელთა ძალაუფლებისათვის ბრძოლის დღესასწაული

(თეზისები)

1. საერთაშორისო მუშათა დღესასწაულს პირველ მაისს დღეს უკვე აქვს თავისი 33 წლის ისტორია.

1898 წ. პარიზში შესდგა სოციალისტური პარტიების საერთაშორისო კონგრესი, სადაც დაარსდა მე-2 ინტერნაციონალი. ამ კონგრესის ერთ ერთ დადგენილებათაგანი იყო, რომ ყველა ქვეყნის მუშებმა ყოველწლიურათ განსაზღვრულ დღეს წარუდგინონ თავის პატრონებს და ძალაუფლების მქონეთ მოთხოვნილება 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ, რისთვისაც კონგრესის მიერ წინადადება იყო მიცემული ყველა ქვეყნებში მანიფესტაციების მოწყობისა. ამრიგათ პირველი მაისი შეიქნა მსოფლიო პროლეტარულ დღესასწაულად.

2. მუშების მიერ პირველად ჩატარებულმა 1 ლი მაისის დღესასწაულმა შიშის ზარი დასცა და არევ-დარევა შეიტანა კაპიტალისტების რიგებში. მათ დაინახეს ამაში ყველა ქვეყნის პროლეტარების კლასობრივი სოლიდარობის გამოხატულება, იგრძნეს მომავალი საფრთხე, მიმართული მათი ბატონობის წინააღმდეგ, საშიშროება თვით მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნის არსებობისათვის. ბევრ ქალაქებში—პარიზში, ვენაში და სხვაგან მსხვილ კაპიტალისტებს, პირველი მაისის დღესასწაულის წინ მიჰქონდათ თავისი ძვირფასეულობა და კაპიტალი, მიიქცეოდნენ დატოვებინათ სატახტო ქალაქები და თავი შეეფარებინათ მყუდრო ადგილას, სადაც მეფობდა ისევ პატრიარხალური დამოკიდებულება ბატონთა და მსახურთა შორის.

3. 90 წლებიდან რუსეთის პროლეტარიატმაც დაიწყო თავისი მაისობა და ჩვეულებრივათ პირველ მაისამდი დიდი ხნით ადრე იწყებოდა ორივე მხრიდან ყველა ძალების მობილიზაცია,—გაჩხრეკა, დატუსაღება, კრებების დაშლა და დახვრეტა ერთის მხრივ, ფურცლები, არალეგალური მასოვკები და კრებები „იატაკ ქვეშ" მეორეს მხრივ—ასეთი იყო რუსეთის მაისობის ჩვეულებრივი სურათი თვითმპყრობელობის დროს 1905 წ. რუსეთის პირველ რევოლიუციამდე.

4. 1905 წ. რუსეთის 1 ლ რევოლიუციას ბუნებრივათ უნდა მიეცა მაისის დღესასწაულისათვის უფრო ფართო ხასიათი. ამ წელს სამაისო დემონსტრაციები მოხდა თითქმის რუსეთის ყველა სამრეწველო ცენტრებში და ქალაქებში. გამოშვებულ იქმნა უამრავი რიცხვი პროკლამაციებისა.

1906 წ. მაისის დღესასწაული შეიქმნა რუსეთის მთელი მუშათა კლასის დღესასწაულად. ამ დღეს მასიურმა დემონსტრაციებმა მიიღეს არა ჩვეულებრივი გაქანების ხასიათი. 1907 წლიდან 1912 წლამდი რეაქციის გაძლიერების გამო მუშათა მოძრაობის ტალღები თანდათან უფრო მცირდებოდა.

5. ამიერ კავკასიაში: განსაკუთრებით ბაქოში, თბილისში და ბათომში, პირველ მაისის დღესასწაული მუშათა მიერ ტარდებოდა ნაწილობრივათ 1901 წლ. მაგრამ ორგანიზაციულათ და რეგულიარულათ ამიერკავკასიის მუშებმა 1-ლი მაისის ჩატარება იწყო 1901 წლიდან და თავის სიდიადით 1905—1906 წლების მაისობა არაფრით არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის მხრივ საწარმოო ცენტრებს; მუშათა დემონსტრაციებმა და მანიფესტაციებმა წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით საქართველოს ბევრ ადგილას, განსაკუთრებით გურიაში აამოძრავა და მიიზიდა გლეხების დიდი უმრავლესობა, ქალაქებში კი რევოლიუციონურათ განწყობილი ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდობა.

6. 1911—1912 წ.წ. თანდათან გაზრდილ სამრეწველო კრიზისთან დაკავშირებით, არის უკვე წლები (ცხადათ გამოხატულ გარდატეხისა), წლები მუშათა კლასის რევოლიუციონურ ენერგიის ცხადი გაძლიერებისა. 1912 წ. მაისის გაფიცვაში პეტერბურგში მონაწილეობას იღებდა ასი ათას მუშამდე. ნევის პროსპექტზე აწყობენ დემონსტრაციებს წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით, პირველ მაისის გაფიცვები და დემონსტრაციები ამ წლიწადს ეწყობოდენ აგრეთვე რუსეთის ბევრ სხვა ქალაქებშიაც. 13—14 წ. წ. 1 ლი მაისის დღესასწაული უფრო შესამჩნევათ ტარდებოდა მთელს რუსეთში.

7. იმპერიალისტურმა ომმა 15 და 16 წ. წ. დიდი ზიანი მიაყენა თითქმის ყველა ქვეყნებში 1-ლ მაისის დღესასწაულს. მუშათა ნამდვილი რევოლიუციონური მოძრაობა გადალეკილ იქმნა შოვინისტურ გრიგალით, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო 1914 წ. დაიშალა მუშათა საერთაშორისო მთლიანობა—მეორე ინტერნაციონალი. ავი ირონიით გაისმოდა სიტყვები „მუშათა სოლიდარობის" შესახებ. ამ მსოფლიო ომის წლებში მხოლოდ ჭეშმარიტად რევ. ციონურათ განწყობილი მუშები წყევლით და კრულვით იხსენიებდენ თავიანთ ბელადებს გამცემლებს და ხელახლად შეუდგნენ ნამდვილ რევოლიუციონურ ინტერნაციონალის შეკრებას, რომლის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს კონფერენციები ციმერვალდში და კინტალში 15 და 16 წ. წ.

8. ახალ ცხოვრების ამომავალ ცისკრის პირველ სხივათ მსოფლიო ფრონტზე იყო თებერვლის რევოლიუცია რუსეთში 1917 წ. ამ წელს 1 მაისს „დღესასწაულობდა ყველა", რადგანაც მაშინ, მას კიდევ არ ჰქონდა ცხადათ გამოხატული პროლეტარული დღესასწაულის ხასიათი, ფაქტიურათ ეს იყო „საერთო ხალხური", არა კლასიური დღესასწაული.

9. რუსეთის ოქტომბრის ქარიშხალმა გაფანტა ეს დახუთული ჰაერი ბურჟუაზიულ პარტიის (კადეტების) ფარისევლობის და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების (მენშევიკების და ესერების) გამცემლობისა. 1918 წლიდან 1 ლი მაისი ხელ ახლად შეიქმნა კლასიურ პროლეტარულ დღესასწაულად; ე. ი. შემდეგ რაც რუსეთის პროლეტარიატი აშკარათ და სამუდამოთ მოსცილდა სხვა კლასებს, რაც მან თავის დროშაზე დააწერა ლოზუნგი თავის წმინდა კლასობრივ პროლეტარულ რევოლიუციისა, რისთვისაც 19 წელს შეიქნა მთელ მსოფლიოს შეგნებულ მუშათა ახალი რევოლიუციონური და მებრძოლი შტაბი მე 3-მე ინტერნაციონალი მოსკოვში.

10. 21 წლამდი საქართველოს მუშები იმყოფებოდენ ქართველ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიის—მენშევიკების გავლენის ქვეშ და თითქმის სამი წლის განმავლობაში დაშორებული იყვენ, როგორც მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას, ისე მის შტაბს მე 3 მე ინტერნაციონალს.

მაგრამ, რაც უფრო იპყრობდა მე-3-მე ინტერნაციონალი მსოფლიოს ყველა მოწინავე და დაჩაგრულ ერთა ყურადღებას, მით უფრო ქართველი მუშები და გლეხები გაეცვნენ თავის წინანდელი ბელადების მენშევიკებს მთელ სიცრუეს და ზურგი შეაქციეს მათ, თავის ბედ იღბალი გადასცეს მუშათა და წვრილ, დაჩაგრულ ერთა ინტერესების ნამდვილ დამცველ მე3-მე ინტერნაციონალს.

11. დღეს საქართველოს მუშები და გლეხები მეორეთ დღესასწაულობენ 1 ლ მაისს, უკვე თავის, საკუთარ, მტკიცე ძალა-უფლების დროს. შარშან 1 ლი მაისის დღეს საქართველოს მშრომელი ხალხი არ აყენებდა თავის წინაშე არავითარ პრაქტიკულ და გადაჭრილ ლოზუნგებს და გატაცებულნი ჭეშმარიტ თავისუფლების ალტყინებით, გართული იყვნენ მხოლოდ თავის სახელმწიფოს საბჭოთა სისტემაზე აშენებით. წელს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ისახავენ შემდეგ ლოზუნგებს: ხალხის მიერ წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, უკულტურობის და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლა და მუშათა და გლეხთა პოლიტიკურათ გაწვრთნა.

12 ეხლა პირველ მაისის დღესასწაული კვლავ შეიქმნა ყველა ქვეყნების მშრომელთა ძმურ, რევოლიუციონურ კავშირის დღესასწაულად და კვლავ პირველ მაისის დღეს, როგორც შრომის დღესასწაულს, უქმობენ ყველა ქვეყნის მშრომლები.

მაგრამ 1-ლი მაისის ლოზუნგები დღეს უკვე ისეთი აღარ არის, როგორიც მეორე ინტერნაციონალის ლოზუნგები იყო: რვა საათის სამუშაო დღის და ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის მაგივრათ—მუშები თავის 1-ლ მაისის დროშაზე აწერენ:

გაუმარჯოს შრომის განთავისუფლების დღესასწაულს 1 მაისს.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს საბჭოთა ძალა უფლებას—ყველა ქვეყნებში.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიას, მე-3-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ს კ პ. ც კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ლოზუნგები 1 ლი მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1-ლ მაისს—პროლეტარულ ბრძოლის და გამარჯვების დღესასწაულს.

2. ჩვენი სალამი მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხებს, რომელნიც აწარმოებენ რევოლიუციონურ ბრძოლას იმპერიალიზმთან.

3. სალამი ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ მუშებს, რომელნიც მართავენ 1-ლ მაისს დემონსტრაციას საბჭოთა რუსეთისათვის.

4 1-ლი მაისის დღეს ძმური სალამი რევოლიუციის მებრძოლებს, რომელნიც იტანჯებიან ბურჟუაზიულ დემოკრატიის საკატორღო საპყრობილეებში.

5. სიკვდილი მუშათა კლასის წინამძღოლების მკვლელებს, სიკვდილი ლიბკნეხტის, როზა ლიუქსემბურგის, ურიცკის, ვოლოდარსკის, შაუმიანის, ჯაფარიძის, ფიოლეტოვის ჯალათებს.

6. ძირს იმპერიალიზმის არმია, ძირს მტაცებლური იმპერიალისტური ომები, გაუმარჯოს წითელ არმიას, სოციალიზმის არმიას, გაუმარჯოს მუშათა კლასის ომს მსოფლიო კაპიტალთან.

7. შრომის ქვეყნის მუშათა და გლეხთა არმიის მიმართ ყოველმხრივი დახმარება, განუწყვეტელი ზრუნვა და დაუღალავი ყურადღება.

8. საბჭოთა დელეგაციას გენუაზე ჩვენი ნაკაზი: ჩვენ გავიმარჯვეთ, ჩვენ ქვეყნის ბატონ-პატრონნი ვართ, ჩვენი მონაპოვარი შეურყეველია, ჩვენი ძალა-უფლება მტკიცეა, საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრები ხელუხლებელია.

9. ბრძოლამ მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ გააერთიანა მუშები და გლეხები. ძმური შრომა საბჭოთა მიწა წყალზე დაურღვევლად გახდის მათ კავშირს.

10 განვამტკიცოთ მუშების და გლეხების კავშირი—საფუძველი საბჭოთა ქვეყნის სიმძლავრისა.

11. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი—ბასრი იარაღია იმპერიალისტების თავდასხმის წინააღმდეგ, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ ეს კავშირი მშრომელთა სრული გამარჯვებისათვის.

12. სიმშილთან საბრძოლველად მუშურ გლეხურ ქვეყნის ყველა ძალებით, ყველა საშუალებებით და მთელი სიმძლავრით.

13 მუშა ქალები—ჩვენი კავშირი დაუძლეველია.

14. მშრომელი ახალგაზრდობა—ჩვენი რეზერვია.

გაუმარჯოს წითელ ახალგაზრდობას.

15. სიბნელე, უვიცობა, უსწავლობა—დაბრკოლებაა კომუნიზმის გზაზე. გადავლახოთ ეს დაბრკოლება და დავაჩქაროთ კომუნიზმის გამარჯვება.

16. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს.

17. გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

საქართველოს კ. პ. ც. კ. აგიტაცია პროპაგანდის განყოფილება.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

(პირველ მაისისათვის)

პირველ მაისის ერთ-ერთ ლოზუნგთაგანი წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაა.

პირველი მაისისთვის სასურველია გაიხსნას წერაკითხვის უცოდინარობის რამდენიმე ახალი სალიკვიდაციო სკოლა და მოხდეს გამოცდები არსებულ რამდენიმე სკოლაში.

აგიტატორებისთვის შემუშავებულია შემდეგი თეზისები და ლოზუნგები:

1. პირველი მაისი არის მთელი ქვეყნის მუშების სოლიდარობის, პროლეტარიატის მეომარი ძალების დათვალიერების დღე.

2. ამ დღეს ჩვენ გავსინჯავთ ჩვენს ძალას კაპიტალთან შემდეგი ბრძოლისათვის.

3. ჩვენ გავათავეთ შეიარაღებული ბრძოლა. გავანადგურეთ კოლჩაკი, დენიკინი, ვრანგელი, მენშევიკები და ესერები, მაგრამ ჩვენ ეკონომიურ ფრონტზე უფრო ძნელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ გვიძევს.

4. ამ ბრძოლისათვის საჭიროა მუშების და გლეხების მთელი სულიერი სიძლიერის გამოჩენა.

5. რომ გავიმარჯვოთ ბრძოლაში მარტო ვაჟ-კაცობა არ კმარა, საჭიროა ცოდნა და უმეცრების ლიკვიდაცია.

დღევანდელი დღის ლოზუნგია „ძირს წერა კითხვის უცოდინარობა".

6 როდესაც ჩვენ წერა-კითხვას შევისწავლით, ჩვენ შეგვეძლება შევიარაღდეთ ცოდნით, რაც საჭიროა ჩვენთვის კომუნისტურ აღმშენებლობით საქმეში.

7. სასოფლო მეურნეობის და მსხვილ წარმოების ტეხნიკის გასაუმჯობესებლად, რაც შეადგენს საფუძველს საბჭოთა ხელისუფლებისას, საჭიროა ცოდნა და კიდევ ცოდნა.

8. მაგრამ მარტო წერა-კითხვის შესწავლა არ კმარა, ეს პირველი საფეხურია უმეცრების ლიკვიდაციის, სასოფლო-სამეურნეო, პოლიტიკურ და წარმოებითი დარგებში უცოდინარობის ლიკვიდაციისა.

9. ბრძოლაში სრულ გამარჯვებას მხოლოდ მაშინ ვპოებთ, როცა მტკიცეთ გვესმის, თუ რისთვის ვიბრძვით და ვინაა ჩვენი მტერი.

მხოლოდ პოლიტიკურად მომზადება ქმნის მუშას, გლეხს, წითელ არმიელს ნამდვილ შეგნებულ მებრძოლათ კაპიტალის უღლიდან მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

10. როდესაც ჩვენ საწარმოო ტეხნიკას კარგათ შევითვისებთ, მაშინ განვაახლებთ ჩვენ ფაბრიკებს და ქარხნებს და ამგვარათ გადავლახავთ საწარმოო კრიზისს.

11. მხოლოდ მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო საქმეთა უცოდინარობის ლიკვიდაციას მოვახდენთ, ჩვენ გავთავისუფლდებით სიმშილის მუქარისაგან.

12. ძირს ყველა სახის უცოდინარობა-მხოლოდ ცოდნა მოგვანიჭებს საბოლოვო გამარჯვებას.

13. გაუმარჯოს ცოდნას. ძირს უცოდინრობა!

ლოზუნგები:

1. გაუმარჯოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ყველა დარგებში! 2. ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა! 3. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არის ბრძოლა კონტრ-რევოლიუციასთან! 4. საბჭოთა საქართველოში არ უნდა იყოს არც ერთი წერა-კითხვის არ მცოდნე! 5. ნამდვილ პოლიტიკურ სიმწიფეს მხოლოდ ცოდნით მივაღწევთ! 6. ცოდნა არის ძლევამოსილი ჩირაღდანი კომუნიზმისა!

წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობასთან.

1922 წ. 1 მაისის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისიისაგან

(ცნობად და სახელმძღვანელოდ სამხედრო ნაწილებისა და მუშათა ორგანიზაციებისათვის).

საერთო თავის მოყრა. ყველა სამხედრო ნაწილებისა და მუშათა ორგანიზაციებისა ხდება დიდუბის მოედანზე.

ჯარის პარადი და წითელი ფიცის მიღება დანიშნულია დღის 12 საათზე ადგილობრივი დროით, პარადის და ფიცის დადების შემდეგ—მიტინგი.

მიტინგს შემდეგ წითელი ჯარები გაივლიან ცერემონიალური მარშით და მათ შემდეგ რიგის დაცვით რაიონები ორკესტრებით წინ.

12 საათისთვის ყველა რაიონები აუცილებლად უნდა იყონ დიდუბის მოედანზე.

მიტინგი რაიონებში და მარშრუტი ყველა რაიონებში თავის მოყრა ხდება წარმოებებისა და დაწესებულებების მიხედვით. დილის 9 საათისათვის თავის მოყრა უნდა იქნეს დასრულებული. დაწესებულებების და წარმოებების მიხედვით თავშეყრილნი უნდა გაემართონ დაუყონებლივ რაიონულ მიტინგის ადგილზე, სადაც მოვლენ აგრეთვე სათანადო ჯარის ნაწილები.

ყველა რაიონებში მიტინგებს ხელმძღვანელობს კომპარტიის რაიონული მდივნები.

პირველი რაიონი: მიტინგის ადგილი—ნაძალადევის მოედანი. მიტინგის დასაწყისი სრულ 10 საათზე. აღნიშნულ დროსა და ადგილზე მიდიან სამხედრო ნაწილები.

მ. მარშრუტი: ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზოვის ქ., ელისაბედის ქ., ვოგზლის ქ. მოხვევა დიდუბის მოედნისკენ. წინსვლის თავში სამხედრო ნაწილის ორკესტრი.

მეორე რაიონი: მიტინგის ადგილი—ჩერქეზოვის მოედანი—„კომეტას" თამბაქოს ფაბრიკასთან. მიტინგის დასაწყისი სრულ 10 საათზე. აღნიშნულ ადგილებზე და დროზე მიდის სამხედრო ნაწილები.

მ. მარშრუტი: ჩერქეზოვის მოედანი, ჩერქეზოვის ქ., მოხვევა ვარანცოვის ხიდზე, მოხვევა მიხეილის ქუჩაზე, მიხაილოვის ქუჩით და მუშტაიდით დიდუბეში. წინსვლის თავში სამხედრო ნაწილის ორკესტრი.

მესამე რაიონი: მიტინგის ადგილი—კახეთის მოედანი რაიკომთან. დასაწყისი დილის 9 ნახ. საათზე. აღნიშნულ დროსა და ადგილზე მოდიან სამხედრო ნაწილები.

მ. მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციანოვის აღმართი, 19 თებერვლის ქუჩა, მიხეილის პროსპექტი, მუშტაიდი, დიდუბე წინსვლის თავში სამხედრო ნაწილის ორკესტრი.

მეოთხე რაიონი: მიტინგის ადგილი—რუსთაველის პროსპექტი ცეკ ს შენობის წინ. მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 10 საათზე. აღნიშნულ დროს და ადგილს მიდიან სამხედრო ნაწილები.

მ. მარშრუტი: რუსთაველის პროსპექტი, ვერის ხიდი, მიხეილის პროსპექტი, მუშტაიდი, დიდუბე, წინსვლის თავში სამხედრო ნაწილის ორკესტრი.

მეხუთე რაიონი: მიტინგის ადგილი—მოედანი ყოფ. ადელხანოვის ქარხნის წინ. მიტინგის დასაწყისი დილის სრულ 9 ნახ. საათზე. აღნიშნულ დროს და ალაგას მიდიან სამხედრო ნაწილები.

მ. მარშრუტი: მოედნიდან ვარანცოვის ქუჩით, მაიდანის გავლით, სომხების ბაზარი, თავისუფლების მოედანი, რუსთაველის პროსპექტი, ვერის ხიდი, მიხეილის ქუჩა, მუშტაიდი. წინსვლის თავში სამხედრო ნაწილის ორკესტრი.

სია

ამხანაგებისა რომლებიც გამოვლენ სიტყვით პირველ მაისს.

დილას. რაიონულ მიტინგზე გამოდიან მიტინგების პასუხისმგებელი ორგანიზატორები (რაიკომებიდან) და სათანადო ნაწილების სამხედრო კომისრები.

დილას დ დუბის მოედანზე პარადზე გამოვლენ:

1) მახარაძე, შაპოშნიკოვი.
2) ლისოვსკი, ქავთარაძე.
3) ელიავა.
4) კალანდაძე, კარობოჩკინი.
5) ლოლობერიძე, ცეპილოვი.
6) გეგეჭკორი, ველიჩკო.
7) სუტირინი, კიკნაძე ნიკო.

პარადზე სიტყვით გამოსული ყველა ამხანაგები უნდა იყონ ალთქმის დადების გათავებისას მარჯვენა ტრიბუნაზე პარადის მიმღებლებთან ერთად.

საღამოს: კლუბებში, თეატრებში, კონცერტებზე, მიტინგებზე გამოდიან:

რუსთაველის თეატრი ა) ელიავა, ბ) ერმოლაევი.

ნაძალადევი ა) კიკნაძე, ბ) ხოხლოვი.

ცენ. მუშ. კლ. ა) ორახელაშვილი, ბ) სუტირინი.

ტივოლი ა) გევორკიანი, ბ) ბალშეკი.

ავლაბარი ა) ხანოიანი, ბ) ასრიბეკოვი.

„კარლ მარქსის" ა) ლოლობერიძე ბ) ველიჩკო.

„ოქტომბრ. რევ." ა) ვირაპი, ბ) ავენირი.

სამოსწავლო საკადრო პოლკის ა) მახარაძე, ბ) ლისოვსკი.

საინჟ. ბატალიონი 8. ა) კახიანი, ბ) სტილმახი.

9 მსროლელი პოლკი ა) ქ ვთარაძე, ბ) კ რობოჩკინი.

ქართული წით. ლაშქარი ა) მ. ოკუჯავა, ბ) შაპოშნიკოვი.

1 ქართული პოლკის ა) ნ. ოკუჯავა, ბ) ჩიხლაძე.

107 პოლკის ა) გეგეჭკორი, ბ) იაროვი.

არსენალი ა) ჟულელი, ბ) სნეგირევი.

მაიდანი ა) რასულზადე, ბ) რუბენი.

სახალხო სახლი ა) ნუცუბიძე.

კინოებში: აპოლო ა) კალანდაძე, ბ) ინოზემცევი.

პალასი ა) წივწივაძე, ბ) როჟდენსტვენსკი.

მინიონი ა) კვირიკაძე, ბ) პავერმანი.

არფასტო ა) ოდილავაძე, ბ) არში.

რევ. სამხატვრო ა) რაჟდენ კალაძე, ბ) მურლანოვი.

ყველა ამხანაგები, რომლებიც გამოდიან საღამოს, გამოცხადდენ ადგილზე 7 საათისათვის ადგილობრივი დროით.

პოლიტსეკრეტარიატის მდივანი
. ფელდმანი.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყ. გამგე
მ. ეხენი.

ბრძანება

ქალაქ თბილისისა და მისი რაიონების გარნიზონისადმი.

№ 117 | ა.

1922 წ. 27 აპრილი, ქ. თბილისი.

§ 1.

ამა წლის 1 მაისს წითელი არმიის წითელი ფიცის მიღების და თავის განთავისუფლებლად მებრძოლ მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულის დღეს ინიშნება ჩემდამი რწმუნებული გარნიზონის მხედრების და მოსამსახურეების წითელი ფიცის მიღება დიდუბის მოედანზე.

ცერემონიალის დასაწყისი 13 საათზე ოპერატიული დროით.

§ 2.

ამ ბრძანების § 1 შესასრულებლად პარადში მონაწილეობა მიიღოს ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის ყველა ნაწილებმა და სახელდობრ: . . .
. . . .
. . . . და აგრეთვე შტაბებმა, სამმართველოებმა მათი ხელქვეითი დაწესებულებებთან ერთად.

პარადის სარდლობას გავწევ მე.

§ 3.

ყველა ნაწილები უნდა გამოცხადდენ სრული შემადგენლობით (როგორც კომშემადგენლობა, ადმინისტრატიული სამეურნეო პირები ისე წითელ არმიელები) თავისი საომარი და შეფობის წითელი დროშებით და ორკესტრებით დიდუბის მოედანზე 12 საათისათვის. პარადზე არ გამოვიდეს მხოლოდ ერთი დღე ღამის მინიმალური რიცხვი გუშაგებისა, ავადმყოფები და დატუსაღებულები.

§ 4.

ნაწილები დაეწყოს ქალაქის კომენდანტის ჩვენებით კვადრატის სამი მხრით და გაუთანასწორდეს წინა ხაზით წითელი დროშების და მარჯვენა ფრთა იწყებოდეს მარჯვენა ტრიბუნიდან იმ წესით, როგორც ეს ნაჩვენებია ამ ბრძანების § 2 წინასწარ დანიშნულ ალაგებზე.

წითელი საომარი და შეფობის დროშები, სადაც ასეთები არიან, იჭერენ ნაწილის წინ ათი ნაბიჯის მანძილზე შუა ალაგიდან, დროშების ორივე მხარეს დგებიან ასისტენტები.

ჩემდამი რწმუნებული გარნიზონის ყველა შტაბები, სამხედრო სამმართველოები და დაწესებულებები დაეწყოს კვადრატის იმ მხარის გასწვრივ, სადაც იქნება მოწყობილი ტრიბუნები, ქალაქის კომენდანტის ჩვენებით.

§ 5.

აგრეთვე ყველა მუშური, პარტიული, პროფესიონალური და სხვ. ორგანიზაციები მოდიან დიდუბის მოედანზე 12 საათისათვის თავისი წითელი დროშებით, ბაირაღებით და სხვ. და ორკესტრებით და ეწყობიან ჩემს მიერ წინად ნაჩვენებ ალაგებზე.

§ 6.

დიდუბის მოედანზე მოსვლისას ჯარების მწყობრი ნაწილების უფროსებმა არა მწყობრი ნაწილების—როტების კომანდირებმა, განყოფილებების საშტაბო უფროსებმა შეამოწმონ ყველა გამოვიდა პარადზე თუ არა და წერილობითი ფიქსაცია მოახდინოს არ გამოსულების მიზეზის აღნიშვნით.

§ 7.

საჰაერო ფლოტმა დაიწყოს ფრენა დიდუბის მოედნის თავზე.

§ 8.

ტანისამოსის ფორმა—სადარაჯო.

§ 9.

გუნდები იყოფა ასეულებათ, რომლებშიც ეწყობა თითო რვა წყებათ.

§ 10.

პარადზე ჯარი და უფროსი პირები გამოვიდეს ქვეითათ.

§ 11.

უფროსი პირების მიერ პარადის შემოვლის შემდეგ დაიწყება სამხედრო მოსამსახურეთა **წითელი ფიცის მიღების ცერემონიალი.**

§ 12.

ჩემდამი რწმუნებულ გარნიზონის მიერ ფიცის მიღების შემდეგ გრძელდება 1 მაისის დღის დღესასწაული.

§ 13.

დღესასწაულის გათავების შემდეგ დაწყებული მარჯვენა ფრთიდან რიგის მიხედვით ჯარები და მუშათა ორგანიზაციები დაიძრებიან ცერემონიალური მარშით, განაგრძობენ მოძრაობას კოლონის განუწყვეტლათ ელისაბედის ქუჩით, მუშტაიდის შესახვევით და პლეხანოვის პროსპექტით კირკის ქუჩამდი, საიდანაც იშლებიან თავიანთი ბინების მიხედვით.

§ 14.

პარადზე წესრიგის თვალყურის სადევნებლად ქალაქის მილიციის უფროსმა გამოგზავნოს გაძლიერებული რაზმი ცხენოსანი და ქვეითი მილიციონერებისა გარნიზონის კომისიის განკარგულებაში.

§ 15.

დანარჩენში ხელმძღვანელობა მოხდის წითელი არმიის ალთქმის დადების—წითელი ფიცის და წითელი არმიის მიერ 1922 წ. 1 მაისის დღესასწაულის ცერემონიალით, რომელიც დამტკიცებულია რესპუბლიკის რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ ამ წლის 25 მარტის თარიღით.

საფუძველი: ბრძანება კავკასიის ცალკე არმიის ნაწილებისადმი 1922 წ. 26 აპრილის თარიღით № 637.

დედანს ხელ აწერენ: გარნიზონის სამხედრო კომისარი—**პუგოვკინი.**

ქალ. თბილ. და მისი რაიონების კომენდანტი—**აბაშიძე.**

ბრძანება

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებისა, № 12.

25 აპრილი, 1922 წ. ქ. თბილისი.

წინადადება ეძლევა ყველა სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და ბინის პატრონებს 1 ლ მაისს საერთაშორისო პროლეტართა დიდი უქმე დღეს გაალამაზონ სახლები და ბინები 1-ლ მაისის დილისთვის.

ამ მიზნისთვის გამოყენებულ იქნან სახლებში მყოფი ყველა ნოხები, ფერადი მატერიები, ბაირაღები, ყვავილები და სხ. ხოლო იმ სახლებში სადაც არის ბაღები, უნდა მოეწყოს დეკორაციები ყვავილ - ფოთლების გირლიანდებით.

საღამოს კი სახლების ქუჩის პირის ფანჯრებთან უნდა დაიდგას სანთლები და სხ.

ქ. თბილისის მ | გ. მილიციის უფროსების საშუალებით თვალყური ადევნოს სწორ უცვლელად ამ ბრძანების ასრულებას და აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სახლის პატრონებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს და კერძო პირებს ამ ბრძანების ასრულებაში.

სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი **ბ. მაჩაიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენუის კონფერენცია

ინგლისის კატეგორიული განცხადება

მანჩესტერი, 27 აპრილი გერმანული რადიო). ლონდონის პრესა 25 აპრილის თარიღით ნახევრად ოფიციალურად იტყობინება, რომ ლოიდ ჯორჯმა ინგლისის სახელით კატეგორიულად განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს ევროპის ხელახლა საომარ ასპარეზად გადაქცევას. ინგლისი პირდაპირ უარყოფს მიიღოს მონაწილეობა ისეთ პოლიტიკაში, რომელიც კიდევ ხელ-ახლა მიგვიყვანს დალარიბების გაძლიერებამდის და რუსეთისა და გერმანიის იზოლიაციამდის, რომელნიც იძულებულნი გახდნენ შეკრათ კავშირი დასავლეთის წინააღმდეგ. ამის გამო ბრიტანეთის დელეგაციას განზრახვა აქვს მომავალში მოლაპარაკების საფუძვლად დაუდოს რუსეთის მემორანდუმი.

დასასრულ ლოიდ ჯორჯმა, როგორც ამას იუწყება 25 აპრილის ლონდონის საღამოს პრესა, იმედი გამოსთქვა, რომ პუანკარე შეიგნებს თუ რამდენათ საჭიროა საფრანგეთისათვის არ გასწყვიტოს კავშირი ინგლისთან.

პატარა სახელმწიფოების პოზიცია.

ლიფილდი 25 აპრილი (რადიო მოსკოვით). „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი, ეხება რა პატარა სახელმწიფოების პოზიციას, წერს: ახლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ განაპირა სახელმწიფოები ძალიან არიან შეშფოთებულნი საფრანგეთის პოზიციით, რომ ზოგიერთი მათგანი არჩევს თავიანთი ინტერესებისათვის მისდიონ გერმანიის მაგალითს და აგრეთვე დასდონ ცალკე შეთანხმება რუსეთთან. არის უკვე გარკვეული ცნობები, რომ პატარა სახელმწიფოებს აქვთ რუსეთთან ხელმოსაწერად დამზადებული ხელშეკრულებები, მაგრამ ჯერ ჯერობით თავს იკავებენ საბოლოო ნაბიჯებიდან, რადგან კიდევ იმედოვნებენ, რომ საერთო შეთანხმებას მიაღწევენ. მოლაპარაკების ცდა უკვე დაიწყო. მთელი ატმოსფერა საერთოდ მოუსვენარი ხდება. უნდა ითქვას გულახდილად, რომ საფრანგეთის დელეგაციის მოქმედება სერიოზულად აფერხებს კონფერენციის მუშაობას და შეუძლია მისი საბოლოო გამარჯვება განსაცდელში ჩააგდოს.

საფრანგეთის წინააღმდეგ.

ლონდონი 24 აპრილი (რადიო მოსკოვით). კონფერენციის მიმართ საბოტაჟის გამო საფრანგეთის მხრივ ლონდონის ლიბერალურმა პრესამ, თვით „დეილი-ტელეგრაფ“მა დაიკავა ანტიფრანგული პოზიცია. დიდ მნიშვნელობას აკუთნებენ ლოიდ ჯორჯის განცხადებას კონფერენციის ერთ ერთ სხდომაზე, როცა ბრიტანეთის პრემიერმა სასტიკად გაილაშქრა საფრანგეთის პროტესტების წინააღმდეგ. „ეს აუტანელია, სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, ჩვენ ბოლოს და ბოლოს უნდა ვიცოდეთ,—გსურთ თუ არა, რომ კონფერენცია გაგრძელდეს თუ იქნას ჩაშლილი. თუ საფრანგეთს სურს ჩაშალოს კონფერენცია, დეე ეს მან განაცხადოს პირდაპირ და ნუ აფერხებს კონფერენციას განუწყვეტელი ინციდენტებით. თუ გენუას კონფერენცია ჩაიშლება, მე მივმართავ ინგლისის პალატას განმარტებით, ვინ არის პასუხისმგებელი მისი დამარცხებისათვის. ჩვენ მაშინ დავინახავთ, თუ რას ფიქრობს ამაზე მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი.

რუსეთის საკითხი.

ვარშავა, 24 აპრილი. რადიო. (მოსკოვით). „რეჩ პოსპოლიტა“ იტყობინება: „ლოიდ ჯორჯმა, შეეხო რუსეთის საკითხს პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, განაცხადა: „საჭიროა რუსეთთან დავდოთ ნამდვილი ზავი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რანაირი მთავრობა დგას ამ სახელმწიფოს სათავეში“. შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა ხაზი გაუსვა რუსეთის ხალხის შრომის უნარიანობას და ენერგიას, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო ევროპიულ ომის დროს.

რუსეთის პრობლემა

საკითხების მთელი რიგი.

ბორდო. 27 აპრილი (ფრანგული რადიო) მოკავშირეთა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ რუსეთის საქმეების შესახებ არსებულმა კომისიამ, ნოტით ან სპეციალური სხდომის მოწვევით უნდა მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას პასუხი მთელ რიგ კითხვებზე. ექსპერტებმა წარუდგინეს კომისიას იმ საკითხების სია, რომელზედაც რუსეთის დელეგაციამ უნდა გასცეს პასუხი მანამდის, სანამ იგი მიიღებდეს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს რუსეთის საკითხის შესახებ არსებულ კომისიის შემდეგ მუშაობაში.

ჰაერის გაწმენდა.

პარიზი. 27 აპრილი (ფრანგული რადიო). სტიდტი გაზეთ „ტაიმსში“ აღნიშნავს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ მოიტანა დიდი სარგებლობა. მან გასწმინდა ჰაერი და დაგვანახა საფრანგეთის ნამდვილი პოზიცია. სტიდტი შემდეგ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თუ რუსეთი და გერმანია დაისახავენ მიზნად მშვიდობიანობის იდეას, მაშინ ორივე ამ სახელმწიფოს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ევროპის გაჯანსაღების საქმეს.

რუსეთ გერმანიის საშიშროება.

ბორდო. 27 აპრილი (ფრანგული რადიო) ლოიდ ჯორჯმა ლონდონის პრესის საშვალებით მიმართა ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, რომელშიც იგი მოუწოდებს მას არ ენდოს გაზ. „ტაიმსი“სა და „დეილ-მეილ“ის ცნობებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობის შესახებ. ლოიდ ჯორჯი აღნიშნავს, რომ იგი გააკეთებს ვრცელ მოხსენებას დეპუტატთა პალატაში კონფერენციის მუშაობის შესახებ. ლოიდ ჯორჯი შემდეგ აკეთებს შეფასებას პუანკარეს უკანასკნელი სიტყვისას და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის გაცხარება არის შედეგი ყალბი ინფორმაციისა. დასასრულ ლოიდ ჯორჯი აცხადებს, რომ არავითარი რუსეთ გერმანიის საშიშროება არ არსებობს.

კიდევ ერთი ულტიმატუმი

ჰანნოვერი. 27 აპრილი (გერმანული რადიო). გენუის კონფერენციის მოკავშირეთა წრეებში იმედი აქვთ, რომ რუსეთის დელეგატები ამ ახლო ხანში წარმოადგენენ გარკვევით თავის მოთხოვნილებებს.

ჰანნოვერი. 27 აპრილი (გერმანული რადიო) 28 აპრილს საღამოს, დაგვიანებით, გაიმართა თათბირი ლოიდ ჯორჯისა, იტალიის პრემიერის ფაქტასი და გარეშე საქმეთა მინისტრისა. ფრანგული ცნობების მიხედვით ამ თათბირზე გადაწყვეტილი იქნა მოსთხოვონ რუსეთის დელეგაციას დაჩქარებით წარმოადგინოს თავისი უკანასკნელი მოთხოვნილებანი.

ჰანნოვერი. 27 აპრ. (გერმანული რადიო). ლონდონის ცნობებით საფრანგეთის დელეგაციას დავალება აქვს თავის მთავრობიდან მოსთხოვოს რუსეთის დელეგაციას მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ პირობებზე პასუხი და აგრეთვე წარმოადგინოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი.

რაც საჭირო იყო დაგვემტკიცებია.

ბორდო, 27 აპრ. (ფრანგული რადიო). გენუიდან ბრიუსელში დაბრუნებულმა ბელგიის პრემიერმა ფენისმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ გენუის კონფერენციას ტენდენცია აქვს გასცილდეს ეკონომიური საკითხების ფარგლებს. ფენისმა შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას მოსთხოვენ ნათელ და აშკარა პასუხს მათთვის დასმულ საკითხების შესახებ. რაიცა შეეხება საბჭოთა მთავრობის ცნობას, ეს საკითხი დროებით რჩება გადადებული. ფენისმა რწმენა გამოსთქვა, რომ კონფერენცია მოგვცემს გარკვეულ სასურველ შედეგებს განსაკუთრებით მათთვის, ვინც სდგას რეალურ ნიადაგზე.

ვირტის განცხადება.

ჰანნოვერი, 27 აპრ. (გერმანული რადიო). გერმანიის კანცლერმა ვირტმა გერმანელ პრესის ჟურნალისტებთან საუბრის დროს კატეგორიულად განაცხადა, რომ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება სავსებით არის გამოქვეყნებული. გამოქვეყნებულ ტექსტის გარდა არ ყოფილა დადებული არავითარი პოლიტიკური ან სამხედრო შეთანხმება.

რაპალოს ხელშეკრულება, ვირტის აზრით განხილულ უნდა იქნეს, როგორც პირველი ნამდვილი საზავო ხელშეკრულება, რომელიც დასდო ორ ერთმანეთ შორის მტრულად განწყობილ ხალხმა. გერმანიას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა და რუსეთის შორის ასეთი ხელშეკრულების დადებას.

რუსეთი და პოლონეთი

ჩიჩერინის განცხადება,

ბორდო 27 აპრილი (ფრანგული რადიო) ჩიჩერინმა მიმართა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს სკირმუნტს წერილით, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს პოლონეთის მონაწილეობაზე რუსეთის საქმეების განხილვაში, ვინაიდან პოლონეთმა თავის დროზე ისე, როგორც გერმანიამ, ხელშეკრულება დასდო რუსეთთან

ჰანნოვერი 27 აპრილი (გერმანული რადიო). ჩიჩერინი, თავის წერილში სკირმუნტის მიმართ, გაკვირვებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ პოლონეთი, რომელმაც იცნო საბჭოთა მთავრობა და მასთან რიგაში ხელშეკრულება დასდო, რომლითაც გადაწყვეტილი იქნა ყველა სადავო საკითხები, ეხლა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ პროტესტს აცხადებს. რუსეთი ხედავს ამაში მისი სუვერენულ უფლებების დარღვევას და აგრეთვე რიგის ხელშეკრულების მოუხერხავათ დარღვევას, რომელიც ავალდებულებს პოლონეთს იმოქმედოს რუსეთთან შეთანხმებით და თავის მხრივ ხელი შეუწყოს სხვა სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა რუსეთის იურიდიულათ ცნობას. პოლონეთის მიერ შექმნილი პრეცენდენტის მიხედვით რუსეთს შეუძლია არ იცნოს მისი სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებანიც. საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად უარყოფს იცნოს ან არ იცნოს პოლონეთის მიერ მესამე მხარესთან დადებული ხელშეკრულებანი.

სკირმუნტის პასუხი.

ბორდო 27 აპრილი (ფრანგული რადიო). სკირმუნტი თავის პასუხში ჩიჩერინის წერილზე აცხადებს, რომ პოლონეთის დელეგაცია შეუერთდა მოკავშირეთა აზრს გერმანიის რუსეთის საკითხების თაობაზე არსებულ კომისიიდან გამორიცხვის შესახებ და იგი ვერ ხედავს ანალოგიას პოლონეთსა და გერმანიის შორის იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელიც ამ ორივე სახელმწიფომ დასდვა საბჭოთა მთავრობასთან. სკირმუნტი აცხადებს, რომ ბალტიის სახელმწიფოთა თათბირის ოქმს, რუსეთისა და პოლონეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც მოხდა რიგაში მიმდინარე წლის 30 მარტს, არ ქონებია ხელშეკრულების ხასიათი. სკირმუნტი შემდეგ უარყოფს იმას, თითქოს რიგის თათბირის ოქმის ხელის მომწერ სახელმწიფოთ, მიეღოთ ვალდებულება ყოველი ღონე ეხმარათ რუსეთის ოფიციალურად ცნობისათვის.

კომისიების მუშაობა

ეკონომიური კომისია.

გენუა 26 აპრილი (იტალიის რადიო) 25 აპრილს დილით გაიმართა ეკონომიური კომისიის პირველი ქვეკომისიის სხდომა. ქვეკომისიამ დაადგინა მომავალ თავის მუშაობას საფუძვლად დაუდოს ლონდონის ექსპერტების მოხსენება. გამოყოფილ იქნა ექსპერტების განსაკუთრებული ქვეკომისია უკვე არსებულ წინადადებათა სისტემატიზაციისათვის და მათი ყველა წარმომადგენლობისათვის გასაცნობად და აგრეთვე ლონდონის მოხსენების მუხლების განხილვის წესის შესამუშავებლად

გენუა 26 აპრილი (იტალიის რადიო) ეკონომიური კომისიის მეორე ქვეკომისიამ განიხილა იმ უცხოელთა საკითხი, რომელნიც სხვა და სხვა სახელმწიფოში აწარმოებენ თავიანთ საქმეებს. ქვეკომისიას წარედგინა სამი პროექტი—იტალიის, გერმანიის და რუმინეთის დელეგაციებისა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და სხვა დელეგაციებმა, მოწონებულ იქნა რუმინიის დელეგაციის მიერ წამოყენებულ პროექტის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება თანასწორი უფლების დაწესებას ადგილობრივ მცხოვრებთა და უცხოელების შორის ფისკალურ ზომებში. ამავე პროექტის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფოს უფლებას აუცილებელ შემთხვევებში უარი სთქვას ამ თანასწორობის პრინციპზე, რაც გამართლებულ უნდა იქნეს სახელმწიფოებრივი ინტერესებით, საერთოდ მიღებულ იქნა, დასასრულ იაპონიის დელეგატის წინადადების თანახმად ქვეკომისიამ მოიწონა დამატებითი მუხლი, რომელიც ეხება იმ გარემოებას, რომ ფისკალურ ზომებში ამ თანასწორობის პრინციპიდან გადახვევა უნდა ხდებოდეს უცხოელთა ერთნაირი ქვეშევრდომობის გარეშე.

სატრანსპორტო კომისია.

გენუა. 26 აპრ. (იტალიის რადიო) 25 აპრილს მოხდა სატრანსპორტო კომისიის საორგანიზაციო ქვეკომისიის სხდომა. განხილულ უნდა ყოფილიყო მოხსენება სარკინიგზო წყლის ტრანსპორტის ქვეკომისიი მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებ ჩამოყალიბებული იყო უკანასკნ ტექსტი ტრანსპორტის საზოგადო კითხებისა, რომლის შემუშავე დროსაც მხედველობაში მიღებ იქნა სხვა და სხვა დელეგაციე შენიშვნანი და განმარტებანი. გიერთი ცვლილებების შემდეგ გა წყვეტილებათა ტექსტი მიღებულ ნა, რათა წარდგენილ იქნეს სა ლოოდ დასამტკიცებლად სატრა პორტო კომისიაში.

საფინანსო ქვეკომისია.

გენუა. 26 აპრ. (იტალიის რადი 25 აპრილს ევანსის თავმჯდომარე ბით გაიმართა საფინანსო ქვეკო სიის სხდომა. გადაწყვეტილ იქნა ბოლოოდ საფინანსო მოხსენებ ტექსტი საფინანსო კომისიის პლენ მისათვის წარსადგენათ.

ბრძოლა შიმშილობასთან

შემოვიდა საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტში დამშეულთა დასახმარებლად:

1) მოსკოვიდან ინჟინერ ბექაურისაგან (გორის მაზრის მცხოვრები) ფინანსთა სახალხო კომისარის ამხ. სვანიძის ხელით—1000 მან. ოქროთი

2) სამხედრო საბარგო და სანივთო საწყობის მუშებიდან და თანამშრომლებიდან—3 688 500 მან.

3) [illegible] მმართველოს თანამშრომლებიდ 3.100.000 მან.

4) 1-ლ რაიონის ბავშვთა დრ ტიულ წრიდან 600.000 მან.

5) ხელოსანთა და შინამრეწველ კავშირისაგან 5 000.000 მან.

დამშეულთა დამხმარე მთავ კომიტეტი.

კონფერენციის გარეშე

რაუტი გენუაში.

გენუა, 26 აპრილი (იტალიის რადიო). 26 აპრილს გენუაში გაიმართა რაუტი, რომელიც გამართა სავაჭრო ფლოტმა და სავაჭრო პალატამ გენუას ადმინისტრაციასთან ერთად. რაუტზე მიწვეულ იყვენ ყველა დელეგაციები და უმაღლეს ხელისუფლების სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენელნი. ყველა დელეგატებს განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ და განსაკუთრებით ჩიჩერინს, რომელიც დიდხანს ესაუბრებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების, მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელთ. ჰერცოგის სასახლე სადაც გაიმართა ბანკეტი შესანიშნავად იყო მორთული და გაჩირაღდნებული.

ჰანოვერი, 26 აპრილი (გერმანული რადიო). ლონდონის გაზეთების ცნობით ლოიდ ჯორჯს განზრახვა აქვს გაემგზავროს ლონდონში გენუას კო ფერენციის მუშაობის მსვლელობ შესახებ მოხსენების გასაკეთებლა ლოიდ ჯორჯი ხელახლა დასვამს კითხს ნდობის შესახებ, რათა მ შეძლება ექნეს განაგრძოს თავ მუშაობა გენუას კონფერენციაზე ძ ლი მიმართულების თანახმად.

საფრანგეთი და გერმანია.

განოვერი, 26 აპრილი, (რადი მოსკოვით. პარიზიდან მიღებულ ცნობები საფრანგეთის მთავრობ წრეებში ხაზს უსვამენ საფრანგეთ ცალკე გამოსვლას გერმანიის წინა ლმდეგ. გაზეთები აღნიშნავენ, რ ცალკე გამოსვლა წარმოსადგენ მხოლოდ მაშინ, როცა სარეპარაცი კომისია გერმანიისათვის მინიჭებუ ვადის გასვლის შემდეგ გამოარკვე შეგნებულ ობსტრუქციას გერმანი მხრით ვალდებულებათა ასრულებ საქმეში.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-11 ყრილობა

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

პარტიული და საბჭოთა აპარატების გამიჯვნა

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი № 92)

მეორე საკითხი, რომელიც იმება ჩვენს წინაშე, არის პარტიული და საბჭოთა აპარატების გამიჯვნა, ეს კითხვა ეხება არა მარტო პოლიტ-ბიუროებს, არამედ საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებსაც. ეს კითხვა არ არის ახალი. ის ირჩეოდა უკვე მერვე ყრილობაზე. ჩვენ ვამბობდით მაშინ: პარტიის ზრდა საჭიროა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ემჩნევა პარტიის ზოგიერთი უჯრედების გადასხვაფერება. ეს იყო აღნიშნული 1919 წელს. ჩვენ ვამბობდით მაშინ, რომ პარტიამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი პარტიაში შემჩნეულ შემადგენლობის ცვლილებას, რომ პარტიის ზრდა არ უნდა ხდებოდეს მისი შემადგენლობის ხარისხის ხარჯზე და ჩვენ მივიღეთ რეზოლიუცია, რომელშიაც პირდაპირ და გარკვევით ვამბობდით, რომ შეუწყნარებელია პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების ფუნქციათა ერთი მეორეში არევა. თავის დროზე ჩვენ ერთი დაკვრით შევარღვიეთ საბჭოების კედლები, შევვარდით იქ და შევიქენით მთელ უმრავლესობათ, იქ დარჩა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ნაწილი და დაიწყო სახელმწიფოს პირველი საძირკვლის ჩაყრა. შემდეგ, დახლოებით 1919 წელს გაისმა ლოზუნგი—დავბრუნდეთ უკან პარტიაში. ეს იყო საინტერესო მომენტი და ჩვენ ის არ უნდა დავივიწყოთ. ეს ამოცანა არც ისე ადვილია. არ შეიძლება დანით ჩამოსჭრა პარტია საბჭოებს და სთქვა აი ამას აქეთ არ გამოხვიდეთ. ეს არ არის ადვილი დღეს, როდესაც ჩვენ შევუდექით მუშაობას ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ პირობებში, როდესაც შესაძლებელი შეიქნა წითელი არმიიდან უკან დაგვებრუნებია საუკეთესო მუშაკების საკმაოთ დიდი რიცხვი, როდესაც ჩვენ მოწოდებული ვართ ყოველდღიური სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის, ჩვენ უნდა ვაღიაროთ რომ სრული გაყოფა შეუძლებელია, როგორც სამართლით აღნიშნავს ამხ. ტროცკი თავის წერილში ჩემი თეზისების შესახებ. რას წარმოადგენენ კომუნისტური პარტიები სხვა ქვეყნებში? რას წარმოადგენდა ის ჩვენში 1917 წლამდე? წარმოადგენდა იმას რაც არის დღეს ჩვენი სააგიტაციო განყოფილება. რას ვაკეთებდით ჩვენ ვწეროდით აგიტაციას, პროპაგანდას, ვწყობდით გაფიცვებს და უკიდურეს შემთხვევებში აჯანყებებს? შეუძლია პარტიას დღეს, რომ მარტო აგიტაციას და პროპაგანდას ეწეოდეს? ეს შეუძლებელია. რასაკვირველია პარტია ვერ მიანებებს თავს პროპაგანდა აგიტაციას. მაგრამ ჩვენი პარტია უნდა იყოს მმართველ პარტიათ, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფოს. ხოლო ეს რომ მან მიაღწიოს, საჭიროა შრომის სწორი განაწილება. მან უნდა დაიტოვოს თავისთვის გარკვეული სფეროები მუშაობის და ერეოდეს სამეურნეო ცხოვრებაში იმდენათ, რამდენათაც ამას აქვს პრინციპიალური მნიშვნელობა, ჩვენ ხელმძღვანელობას გაუწევთ იმით რომ მივსცემთ იქ საუკეთესო მუშაკებს. ჩვენ არ შევეცდებით საბჭოთა ორგანოებს გამოვაცალოთ ჩვენი მუშაკები, როგორც ამას ვშვრებოდით ხშირათ, უნდა გამოვტყდეთ ამაში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ, ვმართავთ რა სახელმწიფოს, შევსძლოთ შრომის ისეთი განაწილება ჩვენს პარტიაში, რომელიც შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების სულს, რათა ჩვენ არ ვცდილობდეთ რეზოლიუციების, საგუბერნიო კომიტეტების დახმარებით წარვმართოთ პოლიტიკა რათა პიროვნული შემადგენლობა ჩვენ გავანაწილოთ იმ გვარად, რომ შევსძლოთ მუშაობის ხელმძღვანელობა.

თუ საგუბერნიო კომიტეტებში ისეთი კარგი მუშაკებია, რომ კარგად ერკვევიან სამეურნეო საკითხებში, ისინი უნდა ჩავაყენოთ სამეურნეო ორგანოებში. ეს იქნება ძალების ეკონომიური განაწილება.

ძალების განაწილება.

მე მინდოდა, ამხანაგებო, მომეყვანა რამოდენიმე ციფრი, რომელთაც აქვთ მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა და რომლებზე ჩვენ გვმართებს დაფიქრება, ციფრები, რომელნიც საკმაოდ ახალია ჩემთვის და, ალბად, მთელი ყრილობისთვისაც.

ჩვენს განკარგულებაში მყოფ ცნობების მიხედვით, ჩვენი პარტიის წევრები, შემოსულნი პარტიაში 1917 წლის თებერვლამდე, შეადგენენ მხოლოდ ორ პროცენტს,—98 პროც. კი პარტიული ახალგაზრდები არიან.

უნდა გავიხსენოთ კიდევ, რომ პარტია, როგორც ის არის ეხლა, როგორც ის გამოხატავს თავს პარტიულ ყრილობებზე, არის მრავალფეროვანი. პარტია—ეს ციმბირია გლეხობის დიდი უმრავლესობით, კომუნისტური ორგანიზაციებით, პარტია—ეს თურქესტანია ერთი მუჭა შეგნებული მუშებით, პარტია—ესაა მთელი რიგი სხვა განაპირები. ახალ ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ახლა ყოველ შემთხვევაში თავის ყურადღების 50 პროც. მიაპყრას ჩვენი პარტიის შინაგანი სოციალურ შემადგენლობას, ჩვენ უნდა დაუსახოთ ერთ ერთ ამოცანათ, რათა იგი შეუდგეს დიფერენციაციის გატარებას. პარტია ისეთ უშველებელ ქვეყანაში, როგორც ჩვენი ქვეყანაა, რომელსაც უკავია მთელი დედამიწის ერთი მეექვსედი, მრავალფეროვანი რამ არის. უნდა მოხდეს დიფერენციაცია ძირითადი ტიპების და რაიონების მიხედვით. სხვადასხვანაირი უნდა იყოს შეხედულება ციმბირზე, თურქესტანზე, ბუხარაზე.

კიდევ რამოდენიმე ციფრი წითელ არმიის შესახებ. წითელ არმიას თავის რიგებში ყავს თითქმის 100 000,—98.000 კომუნისტი. ეს საკამანდო კურსებსა და ახალგაზრდობის კავშირთან ერთად. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ ამ 100.000 დან დაახლოვებით 40 პროც. მუშებია და 60 პროც. გლეხები.

მე ვფიქრობ რომ ეს ციფრი მართლა სწორია ცოტად თუ ბევრად. და რომ მოხერხდეს, სრულიად რუსეთის მასშტაბით, ამ ჯგუფის დაკვირვებითი მოფიქრების შემდეგ, დამყარება თუნდაც ფრიად სუმმარულ დაყოფისა, საჭიროა—100 ათასი არმიაში, 25—50-ათასი სახელმწიფო აპარატში და 100 ათასი სათემო და სამაზრო ორგანიზაციებში, ხოლო დანარჩენი კი ფაბრიკა—ქარხნებში.

ჩვენ არ მოგვიხდენია ჩვენი ძალების ჯეროვანი განაწილება, და ეს ამოცანა დგას ჩვენს წინაშე პირველ რიგში. მე არ ვლაპარაკობ გადატყორცნაზე ამ სიტყვის ვიწრო აზრით, არამედ ჩვენი ძალების უფრო ფართე გადანაწილებაზე ეს ფაქტია, რომ არის მსხვილი დაბები, მაღაროები და სხ., სადაც 10—12 ათას მუშიდან იაჩეიკა შესდგება 6 კაცისაგან. პარტიის დღევანდელი მდგომარეობის და რესურსების დროს ჩვენ შეგვეძლო სწორი განაწილების მოხდენა. არმიაში ჯანსაღი პროპორციაა, მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ასეთი გადაყოფა მოგვეხდინოთ მუშაობის ყველა დანარჩენ დარგებშიაც. ამისათვის აუცილებელი არ არის გადასროლა ყირიმიდან კავკასიაში და სხ. შეიძლება ამის შესრულება მოხერხდეს გუბერნიის მასშტაბით, მაგრამ ეს აუცილებელია ჩვენ სახელმწიფო პარტიას წარმოვადგენთ და ჩვენთვის საჭიროა მუშაკების განსაზღვრული რიცხვი გვყავდეს სახელმწიფო აპარატში. მაგრამ ჩვენ სახელმწიფო მუშათა პარტია ვართ და ჩვენ გვესაჭიროება განსაზღვრული რიცხვი იქ, სადაც არიან მუშები, და ასეთი გადასინჯვა შესაძლებელია, და პარტიამ ეს უნდა მოიმოქმედოს.

მე მაქვს ციფრები პარტიულ და უპარტიო შემადგენლობის შესახებ ალმასკომებში. მე მოვიყვან მხოლოდ ერთ ფრიად საგულისხმო ციფრს, რომელიც გვიჩვენებს, რომ 20-დან 21 წლისათვის 20 ზე მეტ გუბერნიაში, რომელიც ცოტათ თუ ბევრად შემთხვევითაა აღებული, უპარტიოთა პროცენტი გაორკეცდა და ზოგ ადგილას მიაღწია 50 პროცენტამდე. თქვენთვის უცნობი არ არის, რომ მე მხურვალე მომხრე ვარ იმის, რომ ჩვენს მუშაობაში მეტი უპარტიონი მონაწილეობდნენ, მაგრამ როცა ვხედავ ამ ციფრს, ვფიქრობ, რომ ეს რამდენიმედ გადაჭარბებულია. ეს ციფრები ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ. უნდა დავრჩეთ ძველ პოზიციაზე უპარტიოთა მოზიდვის საქმეში, მაგრამ არა ისეთ ფარგლებში, რომლებიც კითხვის ქვეშ დააყენებენ ალმასკომების თვით შემადგენლობას.

შინაპარტიული დამოკიდებულებანი.

მე მინდოდა შევჩერებულიყავ კიდევ ერთ საკითხზე, რომელსაც შეგვიძლია უწოდოთ—„შეჯგუფებანი, შეხლა—შემოხლა და გადახრა“. მართალია, ეს არ არის მაინც და მაინც პარლამენტარული სახელწოდება, მაგრამ ცოტად თუ ბევრად შეეფერება იმას რაც არის. ცენტრალურმა კომიტეტმა მომაწოდა ყველა ცნობები რომელიც შეაგროვა. მე ვლაპარაკობ არა წმინდა პოლიტიკურ შეჯგუფებებზე, როგორიცაა მუშათა ოპოზიცია და სხ. საქმე ეხება უფრო პროზაიკულ რამეს აი ცნობები 28 გუბერნიის შესახებ (1921 წლის 12 ოქტომბრისათვის).

1) მშვიდობიანობაა, 2) შეჯგუფების დაძლევა ახლოვდება, 3) შეხლა-შემოხლა ძლიერდება, 4) შეხლა-შემოხლა ძლიერდება, 5) ჯგუფობრივ ბრძოლას ბოლო ეღება, 6) მშვიდობიანობაა, 7) შეჯგუფებანი დროგამოშვებით, 8) შეჯგუფებას ბოლო ეღება, 9) მშვიდობიანობაა, 10) ჯგუფობრივი ბრძოლა, 11) მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა წინანდელ პარტიულ კონფერენციასთან შედარებით.

ჩვენი ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო შემოეღო რუბრიკა შეჯგუფებათა საკითხის შესახებ. რანაირია შეჯგუფებანი? სულ სხვადასხვა ხასიათის. აქ არის ის, რისთვისაც შეგვეძლო გვეწოდებია. უხეშად: უფრო ახალგაზრდანი უფრო ძველების წინააღმდეგ, მაზრის ამხანაგები ქალაქელთა წინააღმდეგ, პარტიულნი საბჭოთა წინააღმდეგ, სახალხო მეურნეობის საბჭოში მომუშავე ამხანაგები პროფკავშირელების წინააღმდეგ და პირიქით, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტები სახალხო მეურნეობის საბჭოებთან და სხვა და სხვა. და რაც უფრო პროვინციალურია ორგანიზაცია, მით უფრო უმსგავსო სახეს იღებს ეს ყველაფერი. ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა ადგილი არა აქვს სერიოზულ პარტიულ უთანხმოებას, და იწვევს მუშაობის შეჩერებას. ეს შეიქნა საერთო სურათი, საერთო ავადმყოფობა და უბედურება და უნდა იქნეს მიღებული ზოგად პარტიული ზომები.

რანაირია მიზეზები? ჩვენი პარტიის უბრალო წევრის დაბალი დონე. ძნელია აღიარება, მაგრამ ეს ასეა, უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენს პარტიაში ბევრია უცოდინარი წევრი, დიდია სიღარიბე და ნივთიერი ხელმოკლეობა, რომელთა წინააღმდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები.

ჩვენი პარტიის სწრაფი ზრდის დროს 400 დან 500 ათასამდე, არ შეგვეძლია კარგად შევისწავლოთ ჩვენი პარტიის შემადგენლობა. საზოგადოდ, აღნუსხვა და ანკეტა ძალიან ცოტას იძლევა. რომ იცნობდეთ პარტიას, საჭიროა პირადი გაცნობა. საჭიროა, რომ კარგად შევისწავლოთ ერთმანეთი.

შემდეგ გადასვლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე და სხვა. ყველაფერი ამან ერთად აღებულმა შექმნა ეს მოვლენები პარტიაში. თუ ჩვენ მე-10 ყრილობაზე პოლიტიკური ფრაქციების შესახებ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომლის ცხრა მეათედი გატარდა ცხოვრებაში მოისპო პოლიტიკური ფრაქციები, და ისინი ჩვენ მოვსპეთ (ის, რაც ჩვენ გვაქვს ამ ყრილობაზე—22 ის საქმე, ეს უკანასკნელი მოვლენაა), მით უფრო მეტი უფლებით უნდა გამოვიტანოთ დადგენილება არაპოლიტიკურ, ან თითქმის არა-პოლიტიკურ ხასიათის შეჯგუფებათა შესახებ, ვინაიდან მათ მთელ რიგ ადგილებში რღვევა შეაქვთ მუშაობაში. ჩვენს თეზისებში დავსწერეთ: „ამ შეჯგუფებათა წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ დაუზოგველი ზომებით“, ხოლო ცენტრალურმა კომიტეტმა იმისთვის, რომ არავითარ ეჭვებს არ ექნეს ადგილი, განმარტა: „თვით პარტიიდან გამორიცხვამდე“. ამ გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია.

მიღება პარტიაში.

მე გადავდივარ უკანასკნელ საკითხზე: ჩვენს პარტიაში ახალ წევრების მიღების წესებზე შემდეგში. მე ვფიქრობ, რომ ეს ერთი მთავარ საკითხთაგანია ჩვენი ყრილობის. ის წინადადება, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს, მდგომარეობს იმაში, რომ ძალაში დავტოვოთ ის რეჟიმი, რომელიც არსებობდა გაწმენდის დროს. სხვა სიტყვებით, ის მდგომარეობს იმაში რომ პარტიის კარები თითქმის უნდა დავკეტოთ შემდეგი ყრილობამდე. საჭიროა თუ არა ასეთი გადაწყვეტილება? ის შეხვდა რამოდენიმე წინააღმდეგობას. ამ ამხანაგებს ხელმძღვანელობს სავსებით გასაგები გრძნობა, შიში, რომ არ მოვსწყდეთ მასებს, რომლებს უამისოდაც ნაწილობრივ მოვსწყდით. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა ეს განყენებული ჭეშმარიტებანი: კავშირ მასებთან და სხ. ჩვენ უნდა ავილო ჩვენი პარტია ისე, როგორიც არის მისი სასარგებლო და კარგ მხარეებით აწინდელ 22 წელში, პარტიულ კვირეების შემდეგ, გადანუსხვის შემდეგ, გაწმენდის შემდეგ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს და სხვა. და შევხედოთ, მართლა არი ასეთი საშიშროება, რომ ჩვენ გადავიქცევით სექტად, როგორც ზოგიერთები ამბობენ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ თქვენ ვერ დაასახელებთ არც ერთ პარტიას, რომელიც 4 წლის განმავლობაში გაზრდილიყოს 10 ჯერ ასეთი პარტია არ არის და არ ყოფილა. თუ რატომ დაემართა ას ჩვენს პარტიას, ეს ცხადია: ცარიზმის რეჟიმის გამო დაგროვდა უშველებელი პოტენციალური ძალები და სწრაფად იჩინა თავი რევოლიუციის შემდეგ. ამ ჟამად ჩვენ გვაწუხებს არა ზრდის ნაკლებობა, არამედ სხვა რამე და ჩვენ ვერ გამოვაკეთებთ საქმეს, თუ მივუმატებთ პარტიის წევრების დღევანდელ რაოდენობას კიდევ რამოდენიმე ათას კაცს. ავიღოთ, მაგალითად, პუტილოვის ქარხანა. ეხლა იქ 60 პარტიის წევრია. მაგრამ თუ 60 დან ას კაცს გახდით, ხოლო მათი დონე დარჩება იგივე, აქედან არაფერი შეიცვლება. რევოლიუციამდე იმავე პუტილოვის ქარხანაში იყო 30—40 პარტიული ამხანაგი, მაგრამ ესენი იყვნენ ყველა რჩეული, ენერგიული, განვითარებული ამხანაგები, და თითეულ უპარტიოს ესმოდა, რომ კომუნისტები გაცილებით მაღლა დგანან, ვინემ სხვები, მაგრამ მიუმატეთ თქვენ სამოცს კიდევ ასეთივე სამოცი, აქედან საქმე სრულიად არ გამოკეთდება.

ახლა ჩვენ უნდა მივაღწიოთ სხვა რამეს, ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რათა კომუნისტები გაცილებით ამაღლდნენ სხვებზე, რათა ისინი ირჩეოდნენ, რათა მასას ესმოდეს, როგორც ეს იყო წინად, რომ კომუნისტი ეს ყველაზე მცოდნე, ყველაზე შორსმჭვრეტელი კაცია. აი რატომ პარტიის ზრდის შედეგად ჩვენს წინაშე დგას არა ის ამოცანა, რომ გავამრავლოთ წევრების რაოდენობა, არამედ ის, რომ წავიწაბჯოთ სახელოები და ენერგიულ-

რადიო-დეპეშები

კაპიტალიზმის სამეფოებში

საფრანგეთი და გერმანია.

ბერლინ. 27 აპრილი. (რადიო) გაზეთი „პტი პარიზიენი“ იხილავს პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას და კატეგორიულად ხაზს უსვამს საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებას, ისარგებლოს ყველა თავისი უფლებებით. მაგრამ მთავრობას აქვს თავისი საზღვარი და იგი ამ საზღვრებს არ გადააბიჯებს. საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება აქტიური მოქმედების დაწყების მიმართ, დამოკიდებულია საკონტრიბუციო კომისიის დადგენილებებზე, რომელიც მიიღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას გერმანიის მიერ 31 მაისისათვის გადადგმულ ნაბიჯების მიხედვით. თუ გერმანია ურჩობას დაიწყებს და გააჭიანურებს თავის პოლიტიკას, მაშინ საფრანგეთი გაზეთ „პტი პარიზიენის“ სიტყვით, გადასდგამს სათანადო ზომებს და ყოველ ღონეს იხმარს არ დარჩეს განმარტოვებული.

რუსეთი და ევროპა.

რომი. 27 აპრილი. (რადიო) გარეშე საქმეთა საბჭოთა კომისარმა ხელშეკრულება დასდო ტრიესტის ლოიდთან რუსეთში მგზავრების დაკლებული ფასებით გადაზიდვის შესახებ.

მუშათა კონფერენცია.

რომი. 27 აპრილი. (რადიო). მუშათა კონფერენცია რომში დამთავრდა. გამოტანილია დადგენილებანი საერთო განიარაღების აუცილებლობისა და რვა საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ.

პროფკავშირთა კონგრესი რომში.

მოსკოვი. 28 აპრ (რადიო) გაერთიანებულ პროფკავშირთა საერთაშორისო კონგრესზე რომში უაგომ განაცხადა: „ხელ ახლად იქნება აღიარებული ხალხთა ურთიერთ დახმარების და საერთაშორისო კრედიტების სისტემის დამყარების საჭიროება“. აღდგენის პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება. კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვს ნედლი მასალის მონოპოლიის მოსპობას, ვალების გაბათილებას და ვიწრო ეროვნულ ეკონომიურ პოლიტიკის ლიკვიდაციას.

ლოკაუტი ინგლისში.

მოსკოვი. 28 აპრ. (რადიო). ტრედუნიონისტების ცდამ, რომ თავიდან აეცილებიათ 600,000 მუშათა ლოკაუტი, გარდა იმისა, რომ ლოკაუტში მოყვა 350,000 მუშა, განიცადა სრული დამარცხება. „დეილ გერალდმა“ გამოაქვეყნა პროფკავშირების და მწარმოებელთა მიწერ-მოწერის ტექსტი, რომლიდანაც ცხადად სჩანს, რომ მწარმოებლები მოითხოვენ განსაკუთრებულ უფლებებს... (დამახინჯებულია)... გაზეთი აღნიშნავს, რომ ლოკაუტი დაიწყება პირველ მაისიდან. მოლაპარაკება ბამბის სამრეწველოს მუშათა და მწარმოებელთ შორის კიდევ შეწყდა. ტრედუნიონისტები დათანხმდენ სამუშაო ხელფასის 45 პროც. შემცირებაზე. მწარმოებლები კი მოითხოვენ 50 პროც შემცირებას.

ფილიპესკუს მოკვლა.

მოსკოვი, 28 აპრილი (რადიო) რუმინიის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანომ დაბეჭდა მოწოდება, რომელიც მიმართულია მთელი ქვეყნის მუშებისადმი, ფილიპესკუს მოკვლის გამო, რომელიც იყო პროფკავშირების ბელადი და ბრალად ედებოდა კომუნისტობა. ფილიპესკუ მოკლეს როდესაც იგი მიყავდათ საპყრობილეში.

კომუნისტების პროცესი.

ბერლინი, „როტე-ფანე“ იუწყება. ბელგრადში კომუნისტების პროცესი დამთავრდა წარმოუდგენელ მკაცრი განაჩენით: ოტენშს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს კი 20 წლის ციხე. „ბერლინერ ტაგებლატი“ ამის გამო სწერს: საკმარისი იყო მოგვცადნათ ცოტა ხანი სასამართლოს სხდომის დარბაზში, რომ დარწმუნებულიყავით იმაში თუ ვის ასამართლებდნენ იქ, ბრალდებულის სკამზე იჯდომთ თუ მთელ კომუნისტურ მოძრაობას. დაცვის სიტყვა წარმოადგენდა კომუნიზმის მთელ პროპაგანდას.

„როტე ფანეს“ აზრით გამოტანილ განაჩენის შედეგად იქნება მხოლოდ კომუნისტურ მოძრაობის გაძლიერება სამხრეთ სლავიაში, სადაც მან ღრმად გაიდგა ფესვები, რასაკვირველია შეუძლებელია მოსპობილ იქნას იგი ბურჟუაზიულ სასამართლოების დევნით.

გერმანიის რკინის გზელთა შორის

მოსკოვი, 28 აპრ. რადიო. კამათი გერმანიის მოხელეთა გაფიცვის მომხრეთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის დამთავრდა განხეთქილებით რკინისგზელთა შორის. უმაღლეს მოსამსახურეთა ჯგუფი გამოვიდა რკინისგზელთა გაერთიანებულ კავშირიდან და შეადგინა თავისი საკუთარი კავშირი, გამოაცხადა რა თავისთავი უპარტიო ორგანოთ.

აღმოსავლეთი

ამხ. არალოვი ოსმალეთის არმიის შესახებ.

ანგორა, 20 აპრ. რადიო. რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკურმა წარმომადგენელმა ანგორაში ამხ. არალოვმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ფრონტიდან, აცნობა გაზ. „ხაკიმიედ მილლეს“ კორესპონდენტს შემდეგი: ორგანიზაციის სიძლიერემ გადააჭარბა ჩემ ყოველგვარ მოლოდინს. ყოველმა კომანდირმა და ასკერმა იცის, რომ ანტანტის პირობების მიღება მოასწავებს ოსმალეთის დამონებას.

არმია გაჟღენთილია სურვილით თავი გაინთავისუფლოს იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან. არმიის ზურგი დაფარულია სახელოსნოებით, სადაც იჭედება იარაღი—საფუძველი ახალი ცხოვრებისა. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ასკერების მიერ მოწყობილმა წარმოდგენამ. გლეხობა აქტიურ დახმარებას უწევს ჯარს. მუსტაფა-ქემალ-ფაშის მთავრობა მჭიდროთ დაკავშირებულია გლეხობასთან.

შემდეგ ამხ. არალოვმა აღნიშნა, რომ ყველა კომანდირებისა და ასკერების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი და წითელ არმიისადმი საუკეთესოა.

რადეკის სიტყვა

ნაუენი, 26 აპრ. რადიო. გაზეთი „როტე-ფანე“ აქვეყნებს რადეკის წერილს, რომელსაც ბრალს სდებენ იმაში თითქოს იგი ერეოდეს გერმანიის შინაურ პოლიტიკურ საქმეებში.

— რადეკი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ყველა მიმდინარეობის გერმანული გაზეთები ათავსებენ აუარებელ ცნობებს, მისი ნამდვილი და ყალბი მოქმედების შესახებ და ერთმანეთს ეჯიბრებიან ამ ცნობების ფანტასტიურობაში და უაზრობაში. გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება ჩემი მოლაპარაკების შესახებ სტინესთან, რომელსაც მე თითქოს მსურდეს, გადავცე რუსეთის რკინის გზები და რომ ამ გარემოებამ მაიძულა მე წავკიდებოდი ჩემ მეგობარ კრასინს. ყველა ამ უაზრო ბოდვას მე ყურადღებას არ ვაქცევდი.

მაგრამ აუცილებელ საჭიროდ მიმაჩნია, ვაუწყოთ მუშათა კლასს შემდეგი: გერმანიის მთავრობამ ნება დართო ჩემ გერმანიაში შემოსვლაზე იმ პირობით, თუ მე თავს შევიკავებდი და უარს ვიტყოდი ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე გერმანიაში. და თუ ეხლა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო, რომელიც ამასთან ერთად მთავრობის ორგანოცაა. სპეკულაციას ეწევა ჩემს დუმილზე და ათავსებს პროვოკაციული მიზნით ისეთ ცნობებს, რომელიც მე ჩირქსა მცხებენ, დეე, ყველამ თვითონ განსაჯოს, ვის ინტერესს წარმოადგენს ამგვარი პროვოკაციის წარმოება. გერმანიის მუშებმა ძლიერ კარგად იციან ამგვარი პრესის სიყალბე, რომ მცირეოდენი ყურადღება მაინც მიაქციონ მათ უაზრობას

უცხოეთის პრესა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ

ვენა. 20 აპრილი (რადიო) (მოსკოვით) გაზეთ „ლოკალ ანცეიგერს“ მოჰყავს გერმანიის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარის აზრი, რომელიც ესალმება რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას და სთვლის მას საუკეთესო ეკონომიურ ფაქტად და რუსეთთან დამოკიდებულების მტკიცე საფუძვლად.

პრაგა. 20 აპრილი (რადიო მოსკოვით) ეხება რა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას, გაზეთი „ნაროდნი ლისტი“ სწერს, რომ გერმანიისათვის რუსეთთან ხელშეკრულების დადების საქმეში წამაქეზებელ მიზეზს ეკონომიურ კონცესიების მიღების სურვილი კი არ წარმოადგენდა, არამედ ბოლშევიკურ რეჟიმის სიმტკიცის და წითელ ლაშქრის სიძლიერისადმი რწმენა. გაზეთი „პრავო“ სწერს: რუსეთის დელეგაციის აქტი პატივს სდებს რუსეთს და სრულიად შეეფერება ყველა ქვეყნების ინტერესებს. გაზეთი „ჩასი“ ფიქრობს, რომ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულება წარმოადგენს ევროპის სახელმწიფოების მიმართ მუქარას და აძლიერებს მათ გერმანიისადმი უნდობლობას. გაზეთი მოითხოვს გერმანიისაგან ვერსალის ხელშეკრულების ყველა პირობების შესრულებას.

ინგლისის პრესა რუსეთის მემორანდუმის შესახებ

ლიფილდი 22 აპრილი. (რადიო მოსკოვით) ბრიტანიის პრესის აზრი რუსეთის საპასუხო ნოტის შესახებ დაიყო. ზოგიერთი გაზეთები, მათ რიცხვში „მანჩესტერ-გარდიენ“ იც აღიარებენ, რომ რუსეთის ნოტა წარმოადგენს გადასვლას სიტყვებიდან საქმეზე, მაგრამ ამასთანავე აღიარებს, რომ ჯერ ძლიერ ადრეა ვილაპარაკოთ რუსეთის საკითხში სიძნელეთა დაძლევის შესახებ. „მანჩესტერ გარდიენი“ აღნიშნავს, რომ რუსეთის პირობები, რომლებსაც იხილავენ ლონდონის ექსპერტების მემორანდუმთან დაკავშირებით, წარმოადგენს ყოველ შემთხვევაში რუსეთთან გაცხოველებულ ვაჭრობის გამოსავალ პუნქტს.

გაზეთი „დეილ ტელეგრაფი“, დიდ თავშეკავებას იჩენს თავის მოწინავე წერილში, სადაც იგი ეხება რუსეთის პასუხს. საქმის კარგად მცოდნე ამ გაზეთის გენუელი კორესპონდენტი ამბობს, რომ კომისიის საღამოს სხდომაზე, რომელზედაც იხილავდენ რუსეთის პასუხს, რუსეთისა და გერმანიის დელეგატების იქ არ ყოფნის დროს აღიარებულ იქნა, რომ რუსეთის პასუხი იმედს იძლევა საკითხის საკეთილოდ გადასაწყვეტად. „დეილი ქრონიკელი“ ამბობს, ეხლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული: შეძლებენ თუ არა დაინტერესებული მხარეები ჩამოაყალიბონ რუსეთის პირობები.

ს. პ. კ. ს. ამა წლის 24 აპრილის დადგენილების თანახმად, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მე 5 ყრილობის 1 სექტემბრამდე გადადების გამო, 3-დან 18 მაისამდე მთელ საქართველოში [illegible]

„პროფმოძრაობის და თავისუფალ წევრობის ორკვირეული“

ს. პ. კ. ს. მდივანი კიკნაძე.

ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილების გამგე ოდილავაძე.

---

3 მაისს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია

საზეიმო სხდომა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი ცენტრ. პროფკავშირების, ქარხნის კომიტეტების, ადგილკომების, პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა, სამხედრო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად

დღის წეს რიგი: 1) პროფესიონალურ მოძრაობის და პროფინტერნის „ორ კვირეულის“ ამოცანები, 2) საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ, 3) საკონცერტო განყოფილება.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

კვირას 30 აპრილს დღის 12 საათზე შესდგება საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტის

პლენუმის სხდომა

ვინაიდან გასარჩევია დიდმნიშვნელოვანი საკითხები დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

თ. კ. მდივანი ლოლობერიძე.

შაბათს 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე ყოფილ ქალაქის გამგეობის შენობაში შესდგება

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა

დღის წეს-რიგი: 1) მოხსენება საფილტრაციო-განმტვირთავ კომისიის მუშაობის შესახებ, 2) ფუთობრივ და საავადმყოფო გადასახადის შესახებ, 3) ჯანმრთელობის განყოფილების მოხსენება მალარიასა და სხვა ეპიდემიურ ავადმყოფობებთან ბრძოლის შესახებ, 4)წყალსადენის, ელექტრო-სადგურების და ტრამვაის საწარმოვო განყოფილების მუშაობის გეგმა, 5) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატების გამოცხადება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

(3—2)

ქრონიკა

✦ **გაზეთი „პრავდა ზაკავკაზია“** 3 მაისიდან იწყებს გამოსვლას ყოველდღიური გაზეთი „პრავდა ზაკავკაზია“—რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის და ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭოს ორგანო.

✦ **ცეცხლი.** 27 აპრილს, დღის 9 საათზე, გაუფრთხილებლობით ცეცხლი გაჩნდა ნავთით მოვაჭრე მეტრეველის დუქანში, 19 თებერვლის ქუჩაზე. ცეცხლი მოედვა ნავთსა და მაზუთს. ცეცხლი მოედვა მახლობელ ფურნეებს არჩვაძისას და ქერთაშვილისას. სასწრაფოდ მოსულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმა ცეცხლი ჩააქრო სასწრაფოდ. ცეცხლის ჩაქრობის დროს ადგილი ქონდა უბედურ შემთხვევას. წყლისთვის მიმავალი ცეცხლის ავტომობილი ხოსახევში დაეტაკა მეორე ცეცხლის მქრობელი ნაწილის წყლიან თულუხს და ორი ცეცხლის მქრობელი სუბუქათ დაშავდა, ცხენმა ფეხი მოიტეხა. რაოდენიმეთ დაზიანდა თვით ავტომობილი. ცეცხლიდან მიყენებული ზარალი განისაზღვრება 9,000—10,000 მანეთამდე ოქროთ.

✦ 3 მაისიდან სწყდება გაზეთ „პრავდა გრუზიის“-ს გამოსვლა. „პრავდა გრუზია“-ზე ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ სამაგიეროდ „პრავდა

ლად შევუდგით პარტიის შემადგენლობის თვისებრივ გაუმჯობესებას.

ჩვენ შეგვიძლია ეხლა დავფაროთ რუსეთი სკოლების ქსელით. ეხლა ამის აკეთება შესაძლებელია ეხლა ერთი წლის ინტენსიური მუშაობის განმავლობაში. მივაღწიოთ იმას, რათა ჩვენში პარტიის უბრალო წევრების კულტურულმა დონემ აიწიოს. დავკეტოთ პარტიის კარები, შემოუშვათ მხოლოდ ის ამხანაგები, რომელნიც მართლა ჯანსაღ სულს შემოიტანენ პარტიაში. დავხუროთ კარები დანარჩენებისათვის. და მუშები ამას გაიგებენ. ეს არ იქნება დამალული, ეს იქნება ეპიზოდი დიდი პარტიის ცხოვრებიდან, რომელსაც, მეფის საკანში ჩაკეტილს, ჰყავდა 5,000 წევრი, შემდეგ ერთბაშად 50,000, ხოლო 4 წლის შემდეგ —500,000. მას ესაჭიროება შეჩერება ერთი წლით, რომლის განმავლობაში ის შესძლებს ჩაიხედოს თავის პარტიის ყველა კუთხეში, გაითვალისწინოს საქმეთა ვითარება ისე, როგორც არის, დაეხმაროს უბრალო წევრებს კომუნისტები გახდნენ. დეე, იყოს პუტილოვის ქარხანაში 50 კომუნისტი, მაგრამ დეე, თვითეულმა წევრმა მართლა იგრძნოს, რომ მას შეუძლია იყოს ნამდვილი კომუნისტი, ამ მუშაობას უნდა მოვანდომოთ ჩვენი ყურადღება. აი რატომ შემოაქვს ცენტრალურ კომიტეტს გარკვეული გადაწყვეტილება ამ წლისათვის მიღებულ იქნეს უსასტიკესი შეზღუდვა იმ აზრით, რათა თითქმის შესწყდეს, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, სავსებით გამოზრდილ ამხანაგებისათვის, ახალი წევრების მოდენა, იმისათვის, რათა შეგვეძლოს ეს წელიწადი შევსწიროთ მხოლოდ ჩვენი პარტიის წევრებს. იმ ჩვენ ამხანაგებს, რომელნიც არა მათი მიზეზით დგანან პარტიულ კულტურის აზრით, ჯერ კიდევ არა ისეთ მაღალ საფეხურზე.

მოძრაობა ახალგაზრდობასა და ქალთა შორის.

ამასთან დაკავშირებით მე მინდა შევჩერდე ახალგაზრდობაზე, წითელ არმიელებზე და მუშაობის ზოგიერთ სხვა განყოფილებაზე. უკანასკნელ დროს ჩვენში ჩვეულებად გადაიქცა ახალგაზრდობის შესახებ სიტყვით შეგნებული გვქონდეს ამ საქმის მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტიურად არაფერი არ გავაკეთოთ. მე ხელთა მაქვს ციფრი ახალგაზრდობის მობილიზაციის შესახებ საკომანდო კურსებზე 1921 წელში. მათი რაოდენობა უდრის—21,000 კაცს. და ჩვენ წინადადებას ვიძლევით, დავხუროთ პარტიის კარები ამ წლისათვის, მით უფრო, რომ ჩვენ გვმართებს მივაქციოთ ყურადღება ახალგაზრდობის კავშირს, მიტომ, რომ ახალგაზრდობის კავშირის საშუალებით შემოვლენ სწორედ ეს კადრები. აი რატომ გთხოვთ, რომ ჩვენი პარტიული ყრილობა სერიოზულად მოეპყრას ამ პრობლემას. მე ვახსენე პუტილოვის ქარხანა, მიტომ, რომ არც ისე შორეულ წარსულში მე მომიხდა უსიამოვნების განცდა. მიტინგის გათავების შემდეგ ხალხში ყმაწვილი, ასე 17 წლისა, ფრიად დამწუხრებული სახით ეუბნებოდა თავის მეზობელს, მაგრამ აშკარა მიზნით, რომ ეს მე გამეგონა: „ახ, არც ერთი ჭკვიანი კაცი არ არის საბჭოთა რუსეთში“. როცა მე შევეკითხე, რატომ აქვს ასეთი დარდიანი, შოპენგაუერული შეხედულება ცხოვრებაზე 17 წ. ყმაწვილს, აღმოჩნდა, რომ ეს შოპენგაუერისაგან კი არა, არამედ იმისაგან, რომ მას შინ ჰყავს სამი უმუშევარი, რომელთა რჩენა მას ერთ მუშაკს არ ძალუძს, ხოლო კულტურული მხრივ ის სრულებით არაფერს ღებულობს. ამ პუტილოვის ყმაწვილის ფიგურა შემთხვევითი არ არის, მას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ახალგაზრდობას შორის მუშაობას ჩვენ უნდა მივაქციოთ უფრო მეტი ყურადღება, ვინემ დღევანდლამდე.

ამის თქმა მინდოდა ქალთა შორის მუშაობის შესახებაც.

პეტროგრადის და მოსკოვის გამოცდილების მიხედვით ჩვენ უნდა დავადასტუროთ, რომ ამხანაგებმა ქალთა განყოფილებიდან უდიდესი მუშაობა შეასრულეს. ესაა სერიოზული მუშაობა. მუშაკ ქალების დაუხმარებლად და მშრომელ ქალების სიმპატიის გარეშე ჩვენ ვერ შევქმნიდით წითელ არმიას და ვერ შევინარჩუნებდით ხელისუფლებას, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ საგუბერნიო კომიტეტები დაფიქრდებიან იმაზე, რომ შექმნან შესაძლებლობა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისათვის

ბეჭდვითი საქმე.

ნება მომეცით, ამხანაგებო, კიდევ მივაქციოთ თქვენი ყურადღება ბეჭდვითი საქმის მდგომარეობაზე. თქვენ იცით, რომ ჩვენი წერილები, პროფესორები, სხვათა შორის ამბობენ, კომუნისტებმა წამოაყენეს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ხოლო ჩვენ წინადადებას ვაძლევთ მიემატოს მას კიდევ ახალი დამოუკიდებელი ბეჭდვითი საქმე, დამოუკიდებელი, მაშასადამე, ბურჟუაზიული. ბეჭდვითი საქმის განყოფილება იუწყება, რომ აღნუსხულია ბევრი შემთხვევა, როცა ბურჟუაზიის გამოქნილი პირები ახერხებდნენ თავის გზის გატარებას ჩვენს პრესაში. გაზეთების ქსელი ჩვენში შემცირებულია და 863 გაზეთის მაგიერად ჩვენ გვაქვს 382. ტირაჟი უმნიშვნელოა: მილიონ ნახევარი მთელ რუსეთზე. ჟურნალისტების აღნუსხვის ცდამ ფრიად სავალალო შედეგი მოგვცა: აყვანილია აღრიცხვაზე 863 ჟურნალისტი, მათგან; 70 პროცენტი ინტელიგენციაა, 16 გლეხობა და 14 მუშები. პარტიული სტაჟიც უღრესად დაბალია. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შემოვიდა 66 პროცენტი. და აი ისინი ხელმძღვანელობენ პარტიულ პრესას. ჩვენი საგუბერნიო კომიტეტები ამას ძალიან მცირე ყურადღებას აქცევენ. რედაქტორი სულ დაავიწყდათ, როცა ძალებს ანაწილებდნენ. ჩვენ ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ ბეჭდვითი საქმეს. თუ გუბკომების მდივნები და თვით გუბკომები დაფიქრდებიან იმაზე, რომ უნდა გვყავდეს სერიოზული რედაქტორები და ჯეროვანი ყურადღებას მიაქცევენ ამას, ჩვენ პრესა უეჭველად სათანადო სიმაღლეზე დადგება.

საშიშროებანი და სიძნელენი.

საყურადღებოა დავაკვირდეთ ეხლა იმ საშიშროებათ, რომელთაც ადგილი აქვთ, და აქ ნება მომეცით კიდევ აღვნიშნო თუ როგორ უყურებენ ამას ჩვენი საკმაოდ შორსმჭვრეტელი მტრები მენშევიკების ბანაკიდან. ავტორი, რომელმაც მთელი გამოკვლევა უძღვნა ჩვენს პარტიას, რომელმაც დასწერა მთელი წიგნი, სწერს: „რატომ ვჩერდებით ჩვენ ასე ვრცლად ბოლშევიკური პარტიის შინაგანი ცხოვრებაზე? სრულებით არა. იმიტომ, რომ პატივ ვცემთ მას და მის თეორიას (ღონდაც, ეს ჩვენ ვიცით), მაგრამ იმ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა უკანასკნელ წლებში, როცა არავითარ საზოგადოებრივ ცხოვრებას არ ჰქონია ადგილი, აპატიის და დაბნეულობის ატმოსფეროში, ყველა სხვა პარტიების, ორგანიზაციების ბნელითი მდგომარეობის დროს,—ბოლშევიკური პარტია რჩება ერთად ერთი დარაზმული საზოგადოებრივ ძალად, წითელ არმიასთან ერთად. ამიტომ ბოლშევიკების ლიკვიდაცია არ შეიძლება მოხდეს იმავე გზით, როგორც ხდებოდა წინანდელი მთავრობების ლიკვიდაცია. ეს შეუძლებელია მოხდეს აჯანყების გზით. აჯანყების ეპოქა შეესაბამება რევოლიუციონურ აღტყინებას, რევოლიუციონურ განწყობილებათა ზრდის ეპოქას. რევოლიუციის დამთავრების და დასასრულის პერიოდი დაკავშირებულია სხვაგვარ ხასიათის პოლიტიკურ გადატრიალებებთან: რასკოლებთან, შეთქმულებებთან,პრონუნციამენტოსთან. პარტიაში არიან გლეხური ელემენტები, რომელნიც ჯერ არ ჩამოყალიბებულან ცალკე მიმდინარეობად, მაგრამ ფრიად ძლიერნი და მაგარნი ხელისუფლების სათემო და სამაზრო ორგანოებში. მასში არიან მნიშვნელოვანი მუშათა ჯგუფები, რომელნიც ბუნდოვანად იგნებენ თანდათან თავის ცალკე ინტერესებს პარტია სახელმწიფოს ფარგლებში. მასში ბლომადაა ინტელიგენტური ჯგუფები, ნაწილობრივ დემოკრატიული, ნაწილობრივ თვითმპყრობელური მისწრაფებებით, „სმენავეხის“ აზრით. მასში, დასასრულ, საკმაოდაა წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები, ყველა ისინი განსაზღვრულ დრომდე თავსდებიან ერთი პარტიის ფარგლებში. მაგრამ როცა დარეკავს მათი საათი, ისინი გამოვლენ მზის სინათლეზე საერთო დედის საშოდან და მათი ურთიერთი ბრძოლა შეავსებს პოლიტიკურ ისტორიას.“ ეს კომპლიმენტია მენშევიკ დალინისაგან ვაი ბოლშევიკ შლიაპნიკოვისა და მედვედევისადმი. აი მენშევიკების იმედი! საერთო დედის—პარტიის საშოდან გამოვლენ მიმდინარეობანი, რომელნიც შეავსებენ ჩვენი დროის პოლიტიკურ ისტორიას. ავტორი დასცინის ჩვენს გაწმენდას. იგი ამბობს: რა რიგ ბავშური გულუბრყვილობაა ბრძოლა შეუბრალებელ ცენტრისაკენ მსრბოლ ძალებთან „პარტიის გაწმენდის“ საშუალებით. რა დიდია ამაში ბიუროკრატიული ზვიადობა და საშინელი დაბრმავება, რომელიც, საერთოდ, ახასიათებს ყოველ გამარჯვებულს. რა შედეგი მოყვა „პარტიის გაწმენდას“, რომლის მიზანი იყო პარტიის გაწმენდა ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან? უამრავი უკმაყოფილება, გამორიცხვა მემარჯვენეების და მენარცხენეთა, პატრონების და უპატრონოთა,—და კიდევ მრავალი ანეკდოტი, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო. არა, ასეთი მეთოდებით ისტორიის დამარცხება შეუძლებელია“ და ის განაგრძობს: „ამიტომ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ასე ფრიად გაჭიანურდა, მაგრამ ამიტომაცვე ბოლშევიზმის ლიკვიდაცია შეიძლება იყოს მხოლოდ რ. კ. პ. თვით ლიკვიდაციის, რღვევის და დაშლის პროცესი“.

ამხანაგებო, ეს სტრიქონებია შხამიან მტრისა, რომლებიც უნდა გვახსოვდეს. ამავე ავტორი ერთი წლის წინედ ლაპარაკობდა ისე, რომ ბოლშევიკური ძალაუფლების დამხობა, ეჭვს გარეშეა, მოხდება ამგვარად: მათი საკუთარი რიგებიდან, წითელი არმიის რიგებიდან გამოვა ვინმე ამჟამად კურსანტი ან პორუჩიკი, ისეთი კაცი, რომელიც გახდება პატარა ნაპოლეონი. ხელისუფლებისადმი სიმპატია იმდენად ვაქრება, რომ ნაპოლეონი ერთ დღეში შევა კრემლში და გარეკავს ხელისუფლებას, გარეკავს სახალხო კომისართა საბჭოს.

ეხლა იგი სვამს სხვა დიაგნოზს ჩვენი პარტიის დაშლისათვის. რომ მის შიგნით მოხდება დანაწილება, რომელიც გამოიწვევს ლიკვიდაციას. რომ პარტიაში ადგილი აქვს ლეგულიარულ პროცესს, რომელიც აღბეჭდავს ყველაფერს რაც ხდება ქვეყანაში, ამაში არის სიმართლის ნატამალი. ჩვენი პარტია არის პარტია მონოპოლისტი, იმის გამო, რომ ის ერთი მოქმედობს არენაზე, ამიტომაც ჩვენში შემოატანენ თავს აუცილებლად ზოგიერთი ელემენტები, რომელნიც სხვა პირობებში იქნებოდნენ სხვა პარტიებში. მართალია, ჩვენში ადგილი აქვს მრავალ-ფეროვანებას. გლეხური წრე საშიშროებას ქმნის. კიდევ მეტ საშიშროებას წარმოადგენენ მოსამსახურე ელემენტები, არა მშრომელი ელემენტები, რომელნიც მიეტმასნენ ჩვენს პარტიას. დიახ, უდიდესი სიძნელენი დგას ჩვენს გზაზე. მაგრამ არა მარტო სუბიექტიური სურვილი, არის ისტორიული გარემოებებიც, რომ ყველაფერ ამას ჩვენ დავსძლევთ, ჩვენ გვყავს ძირითადი ჩონჩხი—პროლეტარიატი, რომელიც არსებითად აქამდე და აწიც განსაზღვრავს ჩვენი პარტიის პოლიტიკას. უნდა დავხუროთ ჩვენი პარტიის კარები სხვა ელემენტებისათვის, უნდა გავაძლიეროთ პროლეტარულ ელემენტის შედარებითი წონა. ნამდვილი ჩონჩხი, რომელიც განსაზღვრავს არა სიტყვით, არამედ საქმით ჩვენი პარტიის შედარებითი წონას, უნდა იყვნენ პროლეტარები. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა ზომები უნდა მივიღოთ, რათა თანდათან გავატაროთ ის მუშური დემოკრატია—ჩვენს პარტიაში, რომელიც ჩვენ დავსახეთ ორიოდე წლის წინედ, მაგრამ რომელიც კიდევ ვერ გავატარეთ დღევანდლამდე.

მიმდინარე ყრილობის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რათა ამის გამო გამოიტანოს ახალი რეზოლიუცია, რამდენად იმაში, რათა გაერკვეს გადახლართულ გარემოებებში. დიახ, საშიშროებანი, რომელთაც უთვალთვალებენ ჩვენი მტრები, არსებობენ. ვინც შეეცდება მათ დამალვას, საბრალო მშიშარაა. ჩვენ არასოდეს არ ვმალავთ საშიშროებათ და სიძნელეთ, არასოდეს არ ვფარავთ პირბადეს იმას რაც ხდება, ამაშია ჩვენი პარტიის ძალა და ძალა ჩვენი ცენტრალურ კომიტეტისა, რომელსაც თქვენ აირჩევთ იმაში მდგომარეობდეს იქნება, რათა ეს საშიშროებანი ყოველ დღიურად შენიშნოს, აქედან არ გააკეთოს ნახტომები მე-5 სართულიდან, როგორც ეს უნდოდით ჩაედინათ—ამხანაგებს მუშათა ოპოზიციიდან. თავს დამტვრევა არ არის საჭირო, მაგრამ არც გვმართებს მივეცეთ საზიაზინო ოპტიმიზმს და ვილაპარაკოთ, რომ ყველაფერი აბსოლიუტურად კარგადაა მოწყობილი.

ისტორიის მსვლელობა ისეთია, რომ არის საშიშროება სოციალურ უჯრედის გადაშენებისა, ამას ჩვენ ვლაპარაკობდით 1919 წელში, 1921 წელს და განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს ჩვენ ვალდებულნი ვართ ეს უფრო მეტი ხაზ გასმით განვიმეოროთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენში პარტიის ახალი წევრები შეადგენენ დიდ უმრავლესობას, ჩვენ უნდა ავამაღლოთ ისინი პირველ საფეხურზე და მოვიმოქმედოთ ყველაფერი შესაძლებელი, რათა ისინი სწავლობდნენ 10 ჯერ უფრო სწრაფად, ვინემ სხვა ჩვეულებრივ პირობებში და თანდათან მთელი პოლიტიკური ბრძოლა ხელს შეუწყობს ამას, ჩვენ უნდა გვახსოვდეს პარტიის მთლიანობა. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ კლასიკური ფრაზა, რომ მენშევიკები უცდიან, რათა საერთო დედის საშოდან გამოვიდნენ სინათლეზე სხვა და სხვა შეჯგუფებანი, ურთიერთმა ბრძოლამ შეავსოს მთელი პოლიტიკური ისტორია, აი რის იმედი აქვს საერთაშორისო კონტრრევოლიუციას თვით 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალის ჩათვლით.

ჩვენ ვეუბნებით, დიახ, თქვენ მართალი ხართ, როცა ლაპარაკობთ ერთ დედაზე. ჩვენი პარტია მართლა არის ჩვენი საერთო დედა. ჩვენ მას გაუფრთხილდებით, დავიცავთ, როგორც თვალის გუგას, და იმას, ვინც მოინდომებს მის დანგრევას, ვინც არ უნდა იყოს ის, ჩვენ მას მწარე გაკვეთილს ვაწვნევთ. ჩვენ განზრახვა არ გვაქვს დავმალოთ პარტიის ავადმყოფობანი. [illegible] ვსწევთ წინ ნაბიჯ-ნაბიჯზე, [illegible] ჩვენ ვიცით, რომ გზაზე წინ გადაგვეღობება კიდევ ბევრი სიძნელე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენთვის არ არის სხვა რამე უფრო ძვირფასი, ვინემ ჩვენი პარტია, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ მიუხედავად ყოველგვარ სიძნელისა, რომელიც გვხდებოდა ჩვენს გზაზე რევოლიუციის 4 წლის განმავლობაში, ჩვენ მიგვყავდა ის სწორი გზით, მთელი მსოფლიოს კომუნისტების აღიარებით, ხოლო ეს საუკეთესო მოწმობაა. ამავე გზით უნდა წარმართოს პარტია მე-11 ყრილობამაც.

ბიბლიოთეკა

ზაკავკაზია“-ს. „პრავდა ზაკავკაზია“-ს რედაქცია მოთავსებული იქნება იქვე, სადაც მოთავსებული იყო „პრავდა გრუზიი“-ს რედაქცია—კრუზენშტერნის ქ., 4, ტელ. 16—62.

◆ **სახელმწიფო აკადემიური თეატრების მმართველობისაგან.** ამა წლის პირველ აპრილიდან ყოფილი არტისტიული საზოგადოების ელექტრონის სადგური გადმოეცა აკადემიურ თეატრების მმართველობას. ამიტომ 1 აპრილიდან ენერგიის ღირებულება შემოტანილი უნდა იქმნას აკადემ. თეატრების მმართველობის სალაროში. აპრილამდე დახარჯული ენერგიის ღირებულება შეტანილ უნდა იქმნას „უსის“ სალაროში. აკადემიური თეატრების მმართველობა ყოველგვარ დახმარებას გაუწევს უსს ვალის აკრეფაში და უსის მოვალეებს აუკვეთს ენერგიას მიცემას.

— მთავრობის ლოჟაში შესვლის უფლება აქვთ მარტოოდენ მთავრობის, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს და ფედერატიული კავშირის საბჭოს წევრებს. გარეშე ამ პირთა მთავრობის ლოჟაში ყოფნა ყველასათვის აკრძალულია.

◆ **რევტრიბუნალში.** 22 და 23 აპრილს საქართველოს უზენაეს რევტრიბუნალმა მოისმინა საქმე „ცას“-ის ყოფილ კოლეგიის წევრის, ქალაქის ტრამვაის დირექტორის და კომპარტიის წევრის ასლვაცატურ ასრიევისა, ბრალდებულ 5.101,516 მანეთ. გაფლანგვაში და ორი ყალბი საბუთების შედგენაში 1) 60 მილიონი მ. და 2) 6.122,000 მანეთ. გაფლანგვის დაფარვის მიზნით. სასამართლოს გამოძიებაზე წაყენებული ბრალდება ასრიევის წინააღმდეგ სავსებით იქმნა დამტკიცებული. უზენაეს რევტრიბუნალმა მიიღო რა მხედველობაში ასრიევის წარსული ღვაწლი პარტიის წინაშე, მიუსაჯა მას ორი წლით იძულებითი სამუშაო თავისუფლების აღუკვეცლად, ხოლო ა. წ. 7 ნოემბრის ამნისტიის ძალით ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავის აღსანიშნავად სრულიად გაანთავისუფლა სასჯელისაგან.

საგეოლოგიო ექსკურსია. კვირას 30 აპრილს შესდგება საგეოლოგიო ექსკურსია სოღანლუღსა და შავნაბადაში. მსურველნი გამოცხადდებიან საქართველოს მუზეუმში ლორის-მელიქოვის ქუჩა № 10 დილის სრულ ხუთ საათზე. ექსკურსიის მონაწილეებმა თან წამოიღონ ერთი დღის სანოვაგე. ექსკურსიას უხელმძღვანელებს ნ. ყიფიანი.

საყოველთაო სამხედრო სწავლებისათვის

ჩვენ ამას წინედ ვწერდით საყოველთაო სამხედრო სწავლების საკითხის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ სავსებით არ გვაქვს შეგნებული საყოველთაო სამხედრო სწავლების მთელი აზრი და მნიშვნელობა და სწორედ ამით აიხსნება ის მცირე ყურადღება, რომელსაც მას ვაქცევთ.

განა სალაპარაკოა, რომ ჩვენ გვესაჭიროება მძლავრი შეიარაღებული ძალა, რომელიც დაიცავს მტრების თავდასხმისაგან ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკას და პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვართ. ეს მტრები კი უამრავია. ისინი ნაკლებად ფიქრობენ მშვიდობიანობაზე და შეიარაღების შემცირებაზე. მით უმეტეს სრულ განიარაღებაზე და, თავიდან ფეხამდე იარაღში ჩამსხდარნი, კბილებს ილესავენ საბჭოთა ფედერაციაზე, უცდიან მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას, თუ როდის უფრო ადვილად შეეძლებათ მათთვის საძულველ საბჭოთა წყობილების მოსპობა. განა ამას მჭერმეტყველურად არ მოწმობს, სხვათაშორის საფრანგეთის დელეგაციის პროტესტი ჩიჩერინის წინადადებაზე საყოველთაო განიარაღების შესახებ? საფრანგეთის რეაქციონური მთავრობა და ყველა სხვა ბურჟუაზიული მთავრობები გაიძახიან საბჭოთა რუსეთის „წითელ იმპერიალიზმის“ შესახებ, რომელიც მათ თითქო იძულებულს ხდის თავის დასაცავად მრავალრიცხოვანი არმიები იყოლიონ. მაგრამ ასეთი დასაბუთების სიყალბე იმ თავითვე ცხადი იყო, ხოლო ყველასათვის უფრო თვალსაჩინო გახდა როცა საბჭოთა ფედერაციამ მშვიდობიანობის უდიდესი სურვილი გამოააშკარავა და გენუას კონფერენციაზე პირველმა და ერთად ერთმა წამოაყენა საყოველთაო განიარაღების საკითხი, ხოლო იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ამაზე სჯა-ბაასიც არ მოისურვეს. აქედან მშრომელი მასსები უფრო ფხიზლად უნდა იყვნენ მუდამ მის სადარაჯოზე ყოველგვარ თავდასხმის ძირშივე მოსასპობად. ამ თავდაცვის მიზანს მშრომელი ხალხი ანხორციელებს რეგულიარული არმიის საშუალებით და საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოღებით. ჯარი ქვეყნის განსაცდელის დროს, ეჭვი არ არის, დაკისრებულ ვალდებულებას ღირსეულად შეასრულებს და თავისი მკერდით პირველი დაიცავს სოციალისტურ სამშობლოს თავხედ მტრისაგან. მაგრამ ეს საკმაო არ არის. საჭიროა, რომ ყოველ მოქალაქემ, რომელიც ერთგულია საბჭოთა რესპუბლიკის, იცოდეს იარაღის ხმარება და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი გამოვიდეს ბრძოლის ველზე, თუ ამას საჭიროებს მოითხოვს. ამიტომ საყოველთაო სამხედრო სწავლების ფართედ დაყენება გადაუდებელი და უდიდესი მნიშვნელობის საქმეა, და არა მარტო დღევანდელი დროისათვის, არამედ შემდეგისათვის, როცა შეცვლილ საერთო ვითარების გამო, შესაძლებელი გახდება რეგულიარულ ჯარის გაუქმება და სამილიციო სისტემაზე გადასვლა, რომელი სისტემაც იარსებებს მანამდე, სანამ მუშათა კლასი მსოფლიო მასშტაბით არ დაიპყრობს საბოლოო ხელისუფლებას და ყოველ სახის შეიარაღებული ძალა ზედმეტი არ შეიქნება. დღესვე საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოღება ნიადაგს მოამზადებს სამილიციო ჯარზე გადასვლისათვის, დღესაც სამხედრო სწავლა გავლილი მოქალაქენი შეადგენენ სამილიციო ლაშქარს, რომელიც შეავსებს განსაცდელის დროს რეგულიარულ არმიას.

აქვს რა ასეთი დიდი მნიშვნელობა საყოველთაო სამხედრო სწავლებას, მისი განხორციელება ამავე დროს სრულებით არ არის ძნელი. ეს არ მოითხოვს სახელმწიფოსაგან განსაკუთრებულ ნივთიერ რესურსების გაღებას, არც მოქალაქეთაგან რაიმე მძიმე მსხვერპლს თავის ვალდებულების შესრულების დროს. მშრომელი მასსა, მეტ ნაწილად მისი ახალგაზრდა ნაწილი, რომელსაც შეეხება სამხედრო სწავლება, არ მოცდება თავის მუდმივ ჩვეულებრივ სამუშაოს და ამიტომ იგი მატერიალურად არაფერს კარგავს, თვით მეცადინეობა მოეწყობა საინტერესოდ და მრავალ მხრივად, და ექნება ტანვარჯიშობის ხასიათი, რაც სასარგებლოა ფიზიკური აღზრდისა და ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე წყაროც მრავალგვარი სულიერი კმაყოფილებისათვის.

შეგნებული მშრომელი ახალგაზრდობა, გაითვალისწინებს რა საყოველთაო სამხედრო სწავლების მნიშვნელობას და ხასიათს, არ დაიშურებს მას მცირედი დრო შესწიროს. მხოლოდ საჭიროა საყოველთაო სამხედრო სწავლების იდეის ფართედ გავრცელება, სათანადო აგიტაციის წარმოება, ამასთან მისი ორგანიზაციულად მოგვარება. სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ შესაფერ იდეურ პროპაგანდის და საორგანიზაციო მუშაობის წყალობით ჩვენ შევძლებთ ჩავაბათ სამხედრო სწავლების საქმეში მრავალრიცხოვანი მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც საიმედო დამცველი შეიქნება საბჭოთა რესპუბლიკის და მრისხანე ძალა რევოლიუციის ყველა მტრისა და მოძულესათვის.

X.

წარმოებითი პროფკავშირებში

გეგმა

„პროფმოძრაობის და პროფინტერნის ორკვირეულის“ და კავშირის ახალი ამოცანების გატარებისა.

3 მაისიდან საქართველოს ყველა მაზრებში იწყება „პროფმოძრაობის და პროფინტერნის ორკვირეულის“ გატარება, რომელი მიზნისათვის ყველა საკავშირო ორგანიზაციები გამოყოფენ სამეულებს კვირეულის ჩასატარებლად.

მთავარ მიზანს შეადგენს პროფკავშირების კავშირის გაძლიერება და განმტკიცება მასსებთან, მათი მოზიდვა აქტიური მონაწილეობისათვის საკავშირო მუშაობაში, განცხადება კავშირის ახალი ამოცანებისა და ნებაყოფლობითი წევრობის გატარება.

თბილისში ორკვირეული იწყება 3 მაისს პროფსაბჭოს საზეიმო სხდომით კავშირების გამგეობებსა, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტებსა ადგილკომებს, სამეურნეო ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად.

საზეიმო სხდომის დღის წესრიგი: 1) კვირეულის ამოცანები, 2) პროფკავშირი ერთი წლის რევოლიუციის განმავლობაში და ახალი ამოცანები, 3) საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა.

საკონცერტო განყოფილება.

აჭარის, აბხაზეთის და ყველა სამაზრო პროფბიუროები აგრეთვე იწყებენ ორკვირეულს საზეიმო სხდომით, საკავშირო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან ერთად და შეაქვთ დღის წესრიგში ზევით აღნიშნული საკითხები.

ორკვირეული ტარდება მხოლოდ საკავშირო გზით, რისთვისაც 4 მაისიდან დაწყებული ყველა კავშირები იწვევენ წარმოებებში მუშაობის გათავებამდე ერთი საათით ადრე მუშების და მოსამსახურეთა საზოგადო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1) კავშირების ახალი ამოცანები, 2 კავშირის მნიშვნელობა მუშებისათვის და ნებაყოფლობითი წევრობა (სასურველია ამ მოხსენებაში გადმოცემული იქნეს მოკლე ცნობით აღებულ კავშირის ისტორიის შესახებ საქართველოში), 3) არჩევნები ქალაქის სადელეგაციო კრებისათვის.

საზოგადო კრებაზე უნდა იქნეს გამორკვეული ხმის მიცემით მუშების დამოკიდებულება თავის წევრობისადმი, მათ უნდა მიეცეთ სრული შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ თავის ნებისყოფა.

აჭარის და აბხაზეთის, აგრედვე ყველა სამაზრო პროფბიუროები ორკვირეულის გატარებას შეუდგებიან საზეიმო სხდომის მეორე დღეს საერთო კრებების მოწვევის გზით, როგორც ცენტრში, ისე პერიფერიაში, შემდეგი დღის წესრიგით: 1) კავშირების ამოცანები, 2) კავშირების მნიშვნელობა და ნებაყოფლობითი წევრობა.

პროვინციაში დასაშვებია საერთო კრებების დღის წესრიგის გაფართოება შემდეგი საკითხების შეტანით: 1) პროფორგანოების ანგარიში, 2) საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხი და სხვ.

ორკვირეულის გათავების წინადღით იწვევა თბილისში ქალაქის დელეგატების საერთო კრება, პარტიულ, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით, და ყველა მოხსენებები ზოგად გასაგებ ენაზე მიეძღვნება: 1) გამგეობის ანგარიშს, 2) კავშირების ახალ ამოცანებს მუშაობის ყველა დარგში, 3) იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, გამოდიან თანამოხსენებებით ქალთა და მოზარდთა შორის მუშაობაზე.

უკანასკნელ დღეს იწვევა ყველა კავშირების დელეგატთა კრება, რომელზედაც მოისმენენ მოხსენებებს:

1) საერთაშორისო პროფმოძრაობაზე, 2) მუშათა ერთიან ფრონტზე.

ორკვირეულის დაწყების დღეს გამოვა გაზეთ „მუშის“ ნომერი, მიძღვნილი მხოლოდ ორკვირეულისადმი. ხოლო ორი კვირის განმავლობაში გამოყენებული იქნება საბჭოთა პრესა პროფმოძრაობის საკითხების და მუშათა ყოფა ცხოვრების ფართედ გასაშუქებლად.

აგიტაციის და პროპაგანდის გარდა საკავშირო ორგანიზაციების წინაშე წამოყენებულია ამოცანა საკავშირო აპარატის შემოწმების ყველა საქმეების მოყვანა წესრიგში, მუშაკებით გაძლიერება, საჭირო საგნებით მომარაგება და სხვ.

შეძლებისდაგვარად, კავშირები იღებენ ზომებს მუშათა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, სახელოსნოების, მუშათა სახლების, საცხოვრებელ შენობების შეკეთების გზით და სხ. ამის განსახორციელებლად საჭიროა შეთანხმება სამეურნეო ორგანოებთან.

ამ კვირეულის ჩასატარებლად გაწვეულნი არიან ამხანაგები: კიკნაძე, ოდილავაძე, ჯულელი, ნუცუბიძე, ვირაპი, ლეჟავა, ბახუტოვი, გაუსმანი, გინსბურგი, მიხაილოვი, ზისკინდი, ელბაკიანი, ლეინი, ხიტაროვი, სეროპიანი, ალექსანდროვი, რიაბოვი რკინის გზელთა კავშირიდან: კაკაბაძე, ქართველოვი, მჟავანაძე, საბაშვილი; კასპაროვი, მეითონეებიდან: სატნიკოვი, მეიდენი, კალანდაძე, ბურჯანაძე, მახარაძე, მეტყავეებიდან: მორჩილაძე, კომუნალურ მეურნეობის კავშირიდან: სერგეევი, იტრიევი წივწივაძე, კიკნაძე გიგო, აფანასიევი; კვება-გემოს კავშირიდან: არნაუტოვი, პრიდონოვი, მელიკსეტოვი; ხის დამმუშავებელთაგან: ფედოროვი; მშენებელთაგან: ალადაძე, ბაგდანოვი; სამთა მადნო მუშებიდან: კოსტავა კალანდაძე; ფეიქარ-მკერავთაგან: მაქსიმოვი, კაჩხოევი, სახალხო კვების კავშირიდან: არჩვაძე, მენაგარაშვილი; მედიკო-სანიტარულ მუშაკთა კავშირიდან: გოგიბერიძე, მამულია, შავერდოვი, ცომაია, ჩიქოვანი; საბჭოთა მუშაკებიდან: დონაძე, მოვშენზონი, იზრაილი, ეჯიბია; ფოსტა-ტელეგრაფის კავშირიდან: კარაბანოვი, პირალოვი, ბერძენიშვილი, ხარაზაძე; მბეჭდავებიდან: ბერბერაშვილი, იაშვილი, ბოლქვაძე, ხარაზოვი, ნიკიტინი; მიწა-ტყის კავშირიდან: ფანცხავა, ჯაფარიძე; ტრანსპორტზე მომუშავეთაგან: ხოჯაევი, სერედა, ჩისტიკოვი; განათლების მუშაკთა კავშირიდან: გიგენავა, ჯანიშვილი, მოლჩანოვი, შავერდოვი, ორახელაშვილი მარია.

ორკვირეულის ჩატარება ევალება: ბათომში—პიასეცკის, სოხუმში სერაპიანს, ფოთში-კოსტავას, სენაკში ცომაიას, ზუგდიდში—ბარამიძეს, ოზურგეთში—ბერძენიშვილს, ქუთაისში ხ ჯულელს, ყვირილაში—ფანცხავას, ჭიათურაში—ფანცხავას, ტყვიბულში კოსტავას, ახალციხეში—მელიქსეტოვს, ბორჯომში—ზისკინდს, გორში არჩვაძეს, დუშეთში თვითონ ატარებენ, თიანეთშიაც, სიღნაღსა და თელავში—ლეჟავას, ბორჩალოში—მაქსიმოვს, სამხრეთ ოსეთში ატარებენ თვითონ.

ჩამოთვლილი ამხანაგები შემოდიან ორკვირეულის გამტარებელ. ცენტრალურ სამეულის განკარგულებაში (პროფსაბჭო, ოთახი № 7) და 3 მაისიდან ვალდებულნი არიან ყოველ დღე დღის 12 საათისათვის გამოცხადდენ აღნიშნულ ოთახში პროფესიონალურ დისციპლინის წესით დირექტივებისათვის.

ორკვირეულის გატარების და ნებაყოფლობითი წევრობის განხორციელების მსვლელობაზე, აგრედვე შედეგებზე უნდა შეატყობინონ ს. პ. კ. ს. ორგანყოფილებას აღნიშნით წარმოებების და მუშათა რაოდენობისა თითეულ კავშირში, რომელთაც დაადასტურეს თავისი წევრობა და უარის მთქმელთა რაოდენობისა, ყველა ოქმების, როგორც სადელეგატო კრებების, ისე სამაზრო პროფბიუროების და პროფსაბჭოების საზეიმო სხდომების დართვით.

ს. პ. კ. ს მდივანი კიკნაძე
ცენტრალურ სამეულის თავმჯდომარე ოდილავაძე.

ცირკულიარულად.

კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და სამაზრო განყოფილებებს.

ნებაყოფლობითი წევრობის შესახებ.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ორგგანყოფილება იწყებს ნებაყოფლობითი წევრობის განხორციელებას.

1. ნებაყოფლობითი წევრობა, რომელიც ახლა ტარდება, არის აგიტაციის მეთოდი პროლეტარიატის ჩამორჩენილ ნაწილის მიმართ, მისი მაქსიმალური მოზიდვის მიზნით კავშირის წევრთა რიგებში.

ნებაყოფლობითი წევრობის სისტემის ძირითად მიზანს შეადგენს განმარტება წევრებისათვის და შეთვისება უკანასკნელების მიერ კავშირში შესვლის აუცილებლობისა თავის უშუალო, ნივთიერ და კულტურულ ინტერესების დასაცავად.

2. უყურებენ რა თავისუფალ წევრობის მიზნებს აგიტაციის და ჩვენს რიგში მუშების მოზიდვის თვალსაზრისით, პროფორგანოებს მართებთ გამოიჩინონ მაქსიმალური ენერგია, რათა გააძლიერონ სააგიტაციო და კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, კავშირების მნიშვნელობის ფართე პოპულიარიზაციის და დასაბუთების მიზნით, მეორე მხრივ, შექმნან პირობები, როცა თითეული მუშა და მოსამსახურე შეიგრძნობს აუცილებლობას იყოს პროფკავშირის წევრად.

3. ნებაყოფლობითი წევრობის გატარება ხორციელდება „პროფმოძრაობის და პროფინტერნის“ კამპანიასთან ერთად მთელს საქართველოში და გადაჭრით ყველა წარმოებებში. მაგრამ დასაშვებია, ადგილობრივი პირობების მიხედვით და ისიც გამონაკლის შემთხვევებში, სარაიონო დაყოფა საკავშირო ხაზით.

4. მოწვეულ საერთო კრებებზე აუცილებლად უნდა იქნეს გაშუქებული შემდეგი კითხვები: ა) პროფკავშირების მნიშვნელობა მუშებისათვის, ბ) აუცილებლობა მათში წევრებად ყოფნისა, უნდა იქნას განმარტებული კავშირების როლი მუშათა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, მათთვის მთელ რიგ შეღავათების მიღწების და სხვა საქმეში. მხოლოდ მუშების ჯეროვანად მომზადების შემდეგ, უნდა შეუდგეთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, საერთო ან სახელოობითი კენჭის ყრას და მუშათა ნებისყოფის გამორკვევას—ადასტურებენ თუ არა თავის წევრობას.

5. როგორც საერთო წესი, უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადო კრების უმრავლესობის დადგენილება კავშირში კოლექტიურ შესვლის შესახებ არის ფორმალური ვალდებულება უმცირესობისათვის. მაგრამ უმცირესობის მიერ უარის თქმას დაემორჩილოს ამა თუ იმ კოლექტივის უმრავლესობის დადგენილებას არ შეიძლება მოჰყვეს მათი მექანიკური ჩარიცხვა და საწევრო ფულის იძულებითი გადახდევინება.

ასეთ მუშების მიმართ კავშირებმა უნდა მიმართონ ზედმოქმედების შემდეგ ზომებს: ა) გასწიონ სისტემატიური აგიტაცია კავშირში შესვლის აუცილებლობის განმარტების გზით ბ) კოლექტიურ ხელშეკრულებებში ცენტრალურ გამგეობებმა და სამაზრო განყოფილებებმა უნდა გაითვალისწინონ წარმოებაში სამუშაოდ კავშირის უმუშევარ წევრების მიღების უპირატესობა. კავშირის შემადგენლობიდან გამორიცხულნი არ შეიძლება უკან მიღებულ იქნან კავშირში უმუშევრობის დროს.

6. აღებულ წარმოების საერთო კრებაზე მუშაკთა ერთი მეათედი ნაწილის მოთხოვნით შეიძლება გადასინჯულ იქნას კავშირში კოლექტიურ შესვლის საკითხი კავშირის წევრად ინდივიდუალურ ჩაწერის აზრით.

ს. პ. კ ს. მდივანი **კიკნაძე.**
ს. პ. კ. ს. ორგგანყოფილების გამგე **ოდილავაძე.**

პარტიული ცხოვრება

25 აპრილს პროფსაბჭოს დარბაზში შესდგა ქალაქ თბილისის მუშა ქალების დელეგატების კრება. სხვა და სხვა ფაბრიკებსა, ქარხნებსა და წარმოებიდან დაესწრენ 86 დელეგატი ქალი. დღის წესრიგში იდგა:

1) გენუას კონფერენციის შესახებ მოხსენება ამხ. ერქომაიშვილისა.

2) შრომის დაცვის შესახებ—მოხსენება ამხ. მახარაძის.

მოისმინეს რა ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება დელეგატებმა „გენუის კონფერენციის“ საკითხის მსჯელობაში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, იყო მთელი რიგი საინტერესო შეკითხვებისა ჩვენ საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კამათის შემდეგ ერთ-ერთ მუშა ქალთაგანმა წამოაყენა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

„ქალაქის დელეგატ ქალთა საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ, აღნიშნავს, რომ ფაქტი კონფერენციის მოწყობისა და იქ რუსეთის მოწვევისა შედეგია იმ ეკონომიური კრიზისისა, რომელსაც განიცდიან დასავლეთ ევროპის კაპიტალური ქვეყნები. დარწმუნდენ რა, რომ რუსეთის დაპყრობა შეუძლებელია სამხედრო გზით და ეკონომიური ბლოკადით—ბურჟუაზიული ევროპა იძულებულია საბჭოთა ხელისუფლებასთან ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად ილაპარაკოს ჩვენთან კონფერენციაზე როგორც თანასწორ უფლებიანთან. დელეგატების კრება მხურვალედ ესალმება მოქმედების ხაზს საბჭოთა დელეგაციისას ამხ. ჩიჩერინის მეთაურობით, რომელმაც უკვე შესძლო მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება, როგორც მაგალითად რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება.

გაუმარჯოს საბჭოთა დელეგაციის წარმატებას ამხ. ჩიჩერინის მეთაურობით.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს ამხანაგ ლენინს“.

მეორე მოხსენებამ გამოიწვია არა ნაკლები გაცხოველებული კამათი და შემოტანილ იქნა უამრავი საქმიანი და სასიცოცხლო საკითხები. ამხ. მახარაძის მოხსენებამ, რომელიც აღნიშნავდა წარმოებებში ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ და მომწყობ მთელ რიგ ზომებს, გამოიწვია დიდი თანაგრძნობა. დელეგატთა კრება ჩატარდა ძალიან ცოცხლად, საქმიანად; დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

თ. კ. საინფორმაციო ქვეგანყოფილება.

პროვინციაში

ქ. ხაშური (**თესვის კამპანიის ჩატარება**).

ხაშურის რაიონში თესვის კომპანიის ჩატარებას ხელმძღვანელობს ადგილობრივი რაიპარტკომის ორი რწმუნებული მასთან ყველა თემებში დანიშნულია სათემო რწმუნებულები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ ამ მუშაობას.

ამ კამპანიას აქვს ორი მხარე: პირველი—სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობა და მეორე თვით კომიტეტების მუშაობა.

სათემო რწმუნებულების ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქმნა თითქმის ყველა სოფლებში სააგიტაციო კამპანიები: საზოგადო კრებებზე გაკეთებულ იქმნა მოხსენებები სოფლის მეურნეობის აღდგენის შესახებ და მასთან ქალაქის წარმოების აღორძინებაზე. გლეხებს მოუწოდეს ურთიერთ დახმარებისაკენ, რომ არ დარჩეს არც ერთი ნაჭერი მიწა დაუხნავ-დაუთესავი, რათა მომავალში მშრომელი ხალხი უზრუნველ-ყოფილ იქმნას პურნახულით. კრებებზე გამოტანილ იქმნა რეზოლიუციები შემდეგი შინაარსების: ჩვენ სოფლის მუშები დიდის სიხარულით ვეგებებით მთავრობის მოწოდებას და საჭიროთ ვცნობთ დავეხმაროთ ერთმანეთს თესლით სესხის სახით და მასთან მივეშველოთ ქვრივ ობლებს, წითელ-არმიელების ოჯახებს და დაზარალებულ გლეხებს, თესლით, გუთნით და სხვ, რომ მათი მამულები არ დარჩეს დაუთესავი.

გამოკვლევას იმისა, თუ ვინ საჭიროებს თესლს, რამდენი ესაჭიროება, ვის რამდენი მუშა საქონელი და მუშა ხელი სჭირდება, რომ მათთვის მოწყობილ იქმნა კვირეულები.

დაწვრილებით ჯერ-ჯერობით არ არის სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ თუ რამდენს აღმოუჩინა დახმარება, რამდენს რა ჩამოერთვა და რამდენი ვის გადაეცა, მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება ითქვას კამპანიას მოჰყვება კარგი შედეგები და დასრულებულ იქნება დაახლოებით 97 პროცენტით [illegible] ჩება [illegible]

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება

თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისა.

იმ მიზნით, რათა დაცულ იქნას სახალხო ქონება უახლოეს დროში საბჭოთა სახლების იჯარით გაცემის ხელშეკრულების დადებამდე, ყველა პირები და დაწესებულებანი, რომელთაც უჭირავთ საბჭოთა სახლები და სასტუმროები, მოვალენი არიან დაიცვან, როგორც თვით სახლები, ისე ყველა იქ არსებული მოძრავი ქონება (ინვენტარი).

აკრძალულია საბჭოთა ქონების სხვაგან გატანა ან იმით სარგებლობა გარეშე მისი პირდაპირი დანიშნულებისა. საბჭოთა ქონების დაკარგვაში ან დაზიანებაში სავსებით პასუხისმგებელნი არიან ის პირები და დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში იმყოფებიან ეს სახლები. საბჭოთა სახლების და სასტუმროების კომენდანტები და მმართველები ვალდებულნი არიან ერთი კვირის განმავლობაში ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, აღწერონ მთელი მოძრავი ქონებისა (ინვენტარი), რომელიც იმყოფება საბჭოთა სახლებში და სასტუმროებში და ეს აწერილი სიები უნდა წარუდგინოს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კონტროლიორებს ადგილებზე გადასასინჯად და ქალაქის აღმასკომის სიებთან შესაერთებლად.

თბილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **წივწივაძე.**

დადგენილება

სახალხო სასურსათო კომისარიატისა
აპრილის 27 თარიღით.
№ 4402.

სახალხო სასურსათო კომისარიატის იმ დადგენილებათა გასაუქმებლად და შესაცვლელად, რომელიც გამოქვეყნებული იყო „პრავდა გრუზიის“ მე-270 და 284 ნომრებში ამა წლის იანვრის 24-ს და თებერვლის 10 თარიღით, ამით ნებადართულია თავისუფალი გამოტანა პურის პროდუქტებისა და გაუქმებულია დღემდე არსებული აკრძალვა რესპუბლიკის ყველა მაზრიდან გარდა სიღნაღის მაზრისა, საიდანაც გამოტანა უნდა სწარმოებდეს იმ პირობებში, რომელიც ნაჩვენებია სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებაში, რომელიც გამოქვეყნებულია „პრავდა გრუზიის“ მე 284 ნომერში ამა წლის თებერვლის 10-ს თარიღით.

სახალხო სასურსათო კომისარი
ერქომაიშვილი.

ბრძანება № 2.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

დამატებად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამა 1922 წლის აპრილის 13-ს თარიღითა და 4 №-ით გამოცემულ ბრძანებისა, ამით წინადადება ეძლევა ყველა სამეურნეო, საბჭოთა და სხვა დაწესებულებათ და კერძო წარმოებათ განმეორებით მისცენ ამ დაწესებულებათა მოსამსახურეთაგან საქართველოს წითელ არმიაში პოლიტიკური მუშაობისათვის მობილიზაციით გაწვეულ პირთა ოჯახებს ერთდროული დახმარება, თვითეულ ოჯახს ხუთასი ათასი (500,000) მანეთი სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის ანგარიშში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**
1922 წ. აპრილის 26.
ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

თბილისის გაზეთებზე ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, რომ გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი მაისისათვის უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს 30 აპრილისა. ვინც ამ ვადამდე ფულს არ შემოიტანს 1 მაისიდან გაზეთები არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის ფასი მაისისთვის შემდეგია:

„პრავდა გრუზიი“, „კომუნისტი“, „კარმირ ასტღ“, პარტიულ ორგანიზაციებისათვის და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში 140,000 მ., პროვინციაში 180,000 მან.

ყველა დანარჩენ დაწესებულებებისათვის და კერძო პირთათვის ქალაქში მიტანით 200,000 მან. პროვინციაში—240,000 მან.

„მიწის მუშა“ (ქართულად), „ახალი აზრი“ (თურქულად), „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება“ (რუსულად):

ეღირება თვიურად: ქალაქში 80,000 მ. პროვინციაში 100,000 მან.

ცალკე გასაყიდათ: 10,000 მან. ეკზემპლიარი, პროვინციაში 12,000 მ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24). **ქუთაისში:** გაზეთის ტრესტის განყოფილებაში (წერეთელთან) **ბათომში:** „ბატგიზო“-ში.

გაზეთებისთვის განცხადებები მიიღება

ტფილისში: ტრესტის მთავარ კანტორაში, სახელმწიფო გამომცემლობის ცნობების და სარეკლამო ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. №5) და ტრესტის მთავარ კანტორის მიერ მოწმობებით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

განცხადებების ნიხრი

15,000 მან. პეტიტის სტრიქონი ან მის მიერ დაჭერილი ადგილი.

ხშირ განცხადებისათვის შეღავათი. სამგლოვიარო განცხადება: 300,000 მანეთი. პარტიული და საბჭოთა დაწესებულებებისათვის, დანარჩენთათვის 500,000 მანეთი ერთ ჯერ.

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—5)

მხატვრული კოლექტივი „სკიფი“
არსებული ს. ს. ს. რ. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსთან, პუშკინის პასაჟი. ტელ. 8—04.
პირველი მაისის დღესასწაულისათვის
ღებულობს დაკვეთას
შენობების დეკორაციულად მოსართავად
ყვავილების გრეხილები
ილლიუმინაცია
ტრანსპარანტები
პორტრეტები
პლაკატები
პანნო
სასწრაფო დამზადება მხატვრული დროშების
სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებებს ფას დაკლებით.
(3—3)

[illegible]